№ 2676
შაბათი,
20 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2676
შაბათი,
20 ნოემბერი

გაზეთი ღირს: წლიწადი—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ეკლ. ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.
ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი „ცნობის ფურცელი“ მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: ერთის წლით 6 მანეთი.
საზღვარ გარეთ: ერთის წლით 9 მანეთი.
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.
ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი „მოამბე“ მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან.
საზღვარ გარეთ: 1 წლით—13 მ., ცალკე № 1 მ. 20 კ.
ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“
უფასოდ გაეგზავნება
მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.
წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.
(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)
როგორც „ცნობის ფურცლის,“ ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის
„დონ-კიხოტი“
დორეს სურათებით.
ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.
ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ
ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.
1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.
ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძელებას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილის გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.
პრემიის გასაგზავნად ქალაქს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასს გარდა.
გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ
„მასალები საქართველოს ისტორიისათვის“
ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.
ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.
რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის ეკლ. ქუჩა, ქ. ამხანაგობის სადგომში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. აბონემენტის გარეშე
ოთხშაბათს, 24 ნოემბერს ბენეფისი მ. ა. აბაშიძისა წარმოდგენილი იქნება ორი ახალი პიესა
I მეუღლენი
კომ. 5 მოქ. თხზ. გ. სუნდუკიანცისა. სომხურიდან ნათარგმნი ი. ბაქრაძის მიერ.
II ბენეფისის წინ
სცენები 1 მოქმ. პ. უმიკაშვილისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ლეჟავა, მესხი, ჩხეიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გუნია, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ჩარკვიანი და სხვ.
ადგილების ფასი ოპერისა. დასაწყისი 8 საათზე.
ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში, ლაკასიონში. სეზონის ბილეთები და კონტრამარკები გაუქმებულია. ადმინისტრაცია ამხანაგობისა.
მორიგი რეჟისორი მ. აბაშიძე.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
კვირას 21 ნოემბერს 1904 წელს ორი წარმოდგენა:
დილით იაფ-ფასიანი—„შიზნ ზა ცარია“ საღამოთი—„ევგენი ონეგინი“
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: მიხაილოვა, ბიხუცკი-მინჩენკო, ხარიტონოვა, ხასლავსკაია; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, პოლუიანოვი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, ჩალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
22 ნოემბ. „პიკოვაია დამა“.
გამგე ი. ა. კელლერი

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ა. ი. ბადარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ფ. მუხლინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფნი გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. ძიძონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ქ-ნი ქალი ე. ძ. ორბელიანი.—ქალისა და საბავშვო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
მ. ა. ბიციძე.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
მ. მ. მონინი.—ქალისა, სახვეთო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.
ვ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მ. მ. ხოგოლდიშხძე.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთი:
მ. მ. ხოგოლდიშხძე.—ხირურგია და ორტოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ხ. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ორი საწოლი სამკურნალოში [illegible]. კროვატი დღეში ღირს 1½ მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ეკლესიიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 2. ([illegible] ქუჩიდან-კი 34 B. ტელ.)
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი დაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—13)

ექიმი
ა. ნ. თითრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—12)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—6.—32)

ექიმი
ი. ე. გამაშურიძე
გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—13)

ექიმი
მ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვებისა ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154
ტელეფონი № 825. (90—296—25)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
18 ნოემბერი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა მისს იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე, 17 ნოემბერს გამოგზავნილი: „ჩვენი ჯარი განაგრძობდა ცინხეჩენიდან უკან დახეულ მტრის დევნას. 16 ნოემბერს ჩვენებმა უკუ აგდეს იაპონელები უღელტეხილიდან, რომელიც ცინხეჩენის სამხრეთით მდებარეობს. ჩვენ ცოტა ზარალი მოგვივიდა. მოკლულთა გვამები მე-9 სარეზერვო ბრიგადის მე-36 პოლკს ეკუთვნიან. 16 ნოემბრის ღამეს ბრძოლის შესახებ მოხსენება არ მიგვიღია. ზემო აღნიშნულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“.

გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს 17 ნოემბერს: 16 ნოემბერს იაპონელთა უკანა ჯარი, რომელიც განდევნილ იქმნა უღელტეხილიდან, მივიდა მეორე უღელტეხილთან. ეს მეორე პირველ უღელტეხილზე ორი ვერსით სამხრეთით მდებარეობს. იაპონელებმა ამ უღელტეხილზე დაიჭირეს ძლიერი პოზიციები. ხან-მოკლე, მაგრამ ცხარე ბრძოლის შემდეგ მტერმა უკან დაიწია. სხვა ბრძოლების შესახებ 17 ნოემბერს მოხსენება არ მიგვიღია“.

ტოკიო, 18 ნოემბერი („რეიტ.“). როგორც იაპონიის ჯარის მთავარ სადგომიდან იუწყებიან, იაპონელებმა გუშინ დილიდან ყუმბარები დაუშინეს პორტ-არტურთან 203 მეტრიან გორაკს. ნაშუადღევის 4 საათამდე იაპონელებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს, მაგრამ რუსთა თავ-განწირულ წინააღმდეგობის გამო ამ იერიშებმა უნაყოფოდ ჩაიარეს. ხუთ საათზე იაპონელთა ჯარი გაემართა გორაკის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, სწრაფად იერიში მიიტანა და გორაკის წვერს 30 მეტრით მიუახლოვდა. 7 საათზე, როდესაც მაშველი ჯარი მივიდა, იაპონელებმა ხელ-ახლა მიიტანეს იერიში და გორაკის წვერი აიღეს. ამავე დროს მივიდა იერიშით ის ჯარი, რომელიც გორაკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ იყო გაგზავნილი, 8 საათზე ფორტი, რომელიც გორაკის წვერშია, იაპონელების ხელთ იყო.

ლონდონი, 18 ნოემბერი („რეიტერი“). გაზეთები იუწყებიან, იაპონიის ბიუჯეტისათვის კიდევ საჭირო იქნება ახალი რწმუნება საზღვარ გარედ ახალ სესხის აღებისათვის და აგრეთვე ბევრ შინაგან სესხის გამოსაცემად.

პეშავერი, 18 ნოემბერი, („რეიტერი“). ინგლისის საგანგებო მისია ლაკოდან გავიდა და ქაბულისაკენ გაემართა.

პარიზი, 18 ნოემბერი. გენ. სტესელისათვის საპატიო ხმლის საყიდლად 23,700 ფრანკი შეიკრიბა.

რომი, 17 ნოემბერი. რუსეთის ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად უბრძანა რუსეთის ელჩს თავად ურუსოვს, იტალიის საზღვაო მინისტრს 38 ვერცხლის მედალი ჩააბაროს კრეისერ „ელბა“-ს იტალიელ მატროსების დასაჯილდოებლად, რადგან ამ მატროსებმა ჩემულპოში რუსის მეზღვაურების გადარჩენაში მონაწილეობა მიიღეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
18 ნოემბერი

ტოკიო, 18 ნოემბერი. „სენტრალ ნიუს“-ი იტყობინება, რომ გენერალ ნოგის ჯარმა პორტ-არტურთან აიღო ყველა ის სიმაგრეები, რომელნიც-კი 203 მეტრის სიმაღლის გორაზე მდებარეობდნენ. იაპონელებმა იერიში ბინდისას მიიტანეს და აიღეს ყველა სიმაგრეები თავგამოდებულ წინააღმდეგობის შემდეგ რუსების მხრივ. ეხლა იაპონელებს ისეთი პოზიციები უჭირავთ, რომ პორტ-არტურს ზევიდან დაჰყურებენ.

ლონდონი, 18 ნოემბერი. იაპონიის აქაურმა საელჩომ გამოაქვეყნა ტოკიოდან 18 ნოემბერს მოსული დეპეშა: „პორტ-არტურთან მყოფ ჯარის უფროსი გვატყობინებს, რომ 17 ნოემბერს გათენებისას ჯარებმა ყუმბარები დაუშინეს 203 მეტრიან გორას, რომელიც პორტ-არტურის ნავთსადგურს დასცქერის ზემოდან. რამდენჯერმე განმეორებულ იერიშს რუსებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ საღამოს რვა საათზე გორა ჩვენ ხელში იყო.

შანხაი, 17 ნოემბერი. „დეილი ექსპრესი“ იტყობინება, რომ ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ უბრძანა გუბერნატორს იმ საიდუმლო საზოგადოების დახურვა, რომელიც მოეწყოთ იაპონიიდან დაბრუნებულ ჩინელ სტუდენტებს. ქვრივ დედოფლის რესკრიპტით მეთაურები სიკვდილით უნდა დაისაჯნენ. იაპონიის აქაურმა კონსულმა ოდაგირომ განაცხადა, რომ იაპონიას არა აქვს რა საზოგადოებასთან, რომელიც თავის მიმართულებით წინააღმდეგია ყველა უცხოელებისა.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტი იუწყება: კუროპატკინმა სთქვა, მომავალ გაზაფხულზე ადრე სერიოზული სამხედრო მოქმედება არ დაიწყებაო. ამიტომ საფრანგეთისა და ესპანიის სამხედრო აგენტები შინ წასვლას აპირობენ. მაგრამ ეს ცნობა მაინც და მაინც დასაჯერებელი არაა, მით უმეტეს, რომ სამხედრო მოქმედების დაწყება იაპონიის არმიის მთავარ-სარდალზეცაა დამოკიდებული. („ბ. ვ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ის სამხედრო კორესპონდენტი შორეულ აღმოსავლეთიდან ევროპაში დაბრუნებულა და შემდეგი უთქვამს ომის მომავალ მიმდინარეობაზე: „ომი დიდხანს გაგრძელდება და მგონია, რომ რუსები შესანიშნავად ვერსად გაიმარჯვებენ. ასე იმიტომ-კი არა ვფიქრობ, რომ რუსის ჯარის შესანიშნავ მამაცობას უარვყოფდე. მგონია, რომ იაპონია პირველისავე მოწვევით, მილიონამდე მეომარს შეჰყრის, რუსებს-კი 600 ათას კაცზე მეტის ჩაყვანა შორეულ აღმოსავლეთს არ შეუძლიან, რადგან ამდენ ჯარის კვება ერთად-ერთი რკინის გზით ჩატანილ სურსათით მეტის მეტად გაჭირდება. გინდ მარცხიც მოუვიდეს, რუსეთს, რაღა თქმა უნდა, ბევრი არა დააკლდება. ეხლანდელი ომი რუსეთისათვის მხოლოდ კოლონიალური ომია. ბალტიის ესკადრის მოსვლამ შორეულ აღმოსავლეთში იქნება დიდი გავლენა იქონიოს ომის მიმდინარეობაზე. იაპონელებისათვის-კი ეს ომი ეროვნული ომია. იაპონიის მომავალი თითქმის ამ ომზეა დამოკიდებული. 48 მილიონი ხალხი მეტად მჭიდროდ სცხოვრობს. კუნძულებს აღარ შეუძლიათ ამდენ ხალხის კვება. იაპონელებს უნდათ, რომ ბრძოლით საცხოვრებელი ადგილი მოიპოვონ ქვეყნიერობაზე. ასეთის თავგანწირულის სიმამაცითაც ამიტომ იბრძვიან. სიმამაცეში რუსისა და იაპონიის ჯარი ერთმანეთს არ დაუვარდებიან, მაგრამ გონების განვითარებით იაპონიის ჯარი მაღლა დგას რუსისაზე. იაპონიის ეკონომიურ მდგომარეობაზე უნდა ვსთქვა, რომ ეს მდგომარეობა, ეჭვი არაა, უკეთესია, ვიდრე ზოგსა ჰგონია. იაპონიის მთავრობამ ომის საჭიროებისათვის ტამოჟნის ბაჟებს ერთი ორად მოუმატა და მარილისა და თამბაქოს მონოპოლია დააწესა. („ქ. გ.“).

„გლობ“-ის კორესპონდენტი იუწყება გენ. ოკუს მთავარ-სადგომიდან: მარშალმა ოიამამ თავის სამხედრო პლანის თანახმად შეაგვიანა სამხედრო მოქმედება და არა მარტო სიცივის გამო. მარშალმა ოიამამ კარგად იცის, რომ გენ. კუროპატკინს განუწყვეტლივ მაშველი ჯარი მოსდის, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ ციმბირის რკინის გზა თვეში 35 ათას კაცზე მეტს ვერას დროს ვერ მოჰგვრის. ამას გარდა მარშალმა ოიამამ ისიც იცის, რომ რუსეთის მთავრობა, რაც გინდ ძლიერ ეცადოს, შორეულ-აღმოსავლეთში 750 ათას კაცზე მეტს ვერ შეჰყრის. მარშალ ოიამასა და იაპონიის მთავარ შტაბს სულაც არ ეშინიანთ ამ ციფრისა, მით უმეტეს, რომ ამ ჯარის მესამედი მაინც სულ სათადარიგო სალდათები იქნებიან; სათადარიგო სალდათები კი რიგიან პასუხს ვერას დროს ვერ გასცემენ ისეთს მოპირდაპირეს, როგორიცაა იაპონელი სალდათი. იაპონია ამას იქითაც რუსეთის არმიის თანასწორ არმიას იყოლიებს ომის ასპარეზზე და ყოველ თვეში 35 ათას კაცს მოუმატებს, ესე იგი სწორედ იმდენს, რამდენიც გენ. კუროპატკინს მოსდის თვეში; როცა რუსის არმიის რიცხვი 750 ათას კაცამდე ავა, მარშალ ოიამასაც სწორედ ამდენივე ჯარი ეყოლება. მაშინ ომი მარტო მომავალ შემოდგომამდე კი არ გასტანს, როგორც რუსეთში ჰგონიათ, იქნება ორ, სამ და ხუთ წელიწადსაც გაგრძელდეს და იგივე რეზულტატი ექნება, როგორიც აქამდე ჰქონდა („ბ. ვ.“).

ტელინში რუსები ამბობენ, იაპონელებმა ამნაირი ახალი სამხედრო ხერხი მოიგონესო: ღამით, იმის გასაგებად, თუ რუსის ჯარი სადა დგას, იაპონელები რაღაც მანათობელ ფხვნილით გატენილ ყუმბარებს ისვრიან. ეს ფხვნილი რუსის სალდათების ქუდებსა, სახელოებსა და მხარზე ცვივა, ბნელაში ანათებს და იაპონელებს რუსის ჯარის ბინას აგებინებს. („ქ.“).

„ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი ირწმუნება, რუსეთი იანვარში 1,200 მილიონ ფრანკს ისესხებს საზღვარგარედაო. ამ ფულიდან 290 მილიონი ფრანკი სამხედრო იარაღზე დაიხარჯება გერმანიაში. ფრანგებიც მონაწილეობას იღებენ იარაღის მომზადებაში. ამ სესხის გამო რუსეთი დაჰპირდა გერმანიას, ბაღდადის რკინის გზის აშენებას არ დაგიშლითო.

„ჟურნალ“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: ხმა დადის, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობა რუსეთისა და იაპონიის შერიგებისათვის ზრუნავენო. ცდილობენ ისეთი ზავის პირობა შეადგინონ, რომ რუსეთსაც მოეწონოს და იაპონიისაცაო. საფრანგეთის ელჩი ბომპარი ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად პარიზიდან პეტერბურგში დაბრუნდა; ამბობენ, ბომპარი მალე ისევ პარიზში დაბრუნდებაო. („ქ.“).

„რუსეთ-იაპონიის ომი და ევროპა“. ამ სათაურით შემდეგი წერილია დაბეჭდილი ახალ რუსულ გაზ. „ნაშა ჟიზნ“-ში: „ხუთის წლის წინად აღტაცებული იმედები გამოიწვია ჰააგის სამშვიდობო კონფერენციის მოწვევამ, მაგრამ შეუბრალებელმა სინამდვილემ სულ გააქარწყლა ეს იმედები... საზარელი ომი დაიწყო და რაც ხანი გადის, ომი უფრო მწვავდება და უფრო საშინელი სისხლის ღვრა ხდება, ხან და ხან შიშიც იბადება, ვაი თუ ეს ომი უფრო გაძლიერდეს და საერთაშორისო ომად გადაიქცესო. ოჯახები ასი ათასობით გადატაკდნენ, ხალხის სიცოცხლე ათი ათასობით მსხვერპლად შესწირეს ამ ომს. ციმბირისა და იაპონიის კულტურული განვითარება შედგა, თითონ რუსეთსა და ევროპაშიაც-კი ცხოვრების ყველა უმთავრესი ინტერესი მჭიდროდ გადაება სამხედრო მოქმედების მიმდინარეობას. ვაჭრობა ევროპასა და აზიას შუა შემცირდა; გემთ მიმოსვლის წესიერება დაირღვა, მეტადრე იმის შემდეგ, რაც გემების „მალაკა“-სა და „პრინც ჰენრიხ“-ის დატუსაღებითა და შემდეგ დოგერ-ბანკში (ჩრდილოეთ ზღვაში) მომხდარ ინციდენტით ომი ჯერ მეწამულ ზღვაში და მერე ჩრდილოეთ ზღვაშიაც გადაიტანეს. ფულის ბაზარზე ომმა მეტად ცუდი გავლენა იქონია. ამ ჟამად ევროპის პარლამენტებში არც ერთ საფინანსო პროექტს არ შეიტანენ ისე, რომ თან რუსეთ-იაპონიის ომის ცუდი გავლენა არ გაიხსენონ. ყველა მოუთმენლად ელის ამ ომის გათავებას, ეგაა ზოგს ერთნაირი ბოლო ჰსურს, ზოგს სულ სხვანაირი.

ყველა ერი თავის ეკონომიურ ინტერესებისა და პოლიტიკურ რწმენის დაგვარად ან ერთ მეომარ სახელმწიფოს თანაუგრძნობს, ან მეორეს. ინგლისი და ამერიკა პოლიტიკურ და სავაჭრო უპირატესობის მოპოვებასა და გავლენის გაძლიერებას ცდილობენ შორეულ აღმოსავლეთში და, რაღა თქმა უნდა, ეჭვის თვალით უცქერიან რუსეთის გაძლიერებას მანჯურიაში, შიშობენ, ვაი თუ ყველა მოცილე განდევნოს იქიდანაო. ადვილი გასაგებია, რომ ინგლისისა და ამერიკის ვაჭრები და მრეწველები უმთავრესად იაპონიას თანაუგრძნობენ და არა რუსეთს; მართალია ინგლისსა და ამერიკაში ბევრს შიში დაებადა, ვაი თუ იაპონია მომავალში პოლიტიკურად და ეკონომიურად გაძლიერდესო, მაგრამ უმეტესობას მაინც ჯერ-ჯერობით საშიშ მოცილედ არ მიაჩნია იაპონია. ინგლისელ მუშების უმეტესობის ინტერესიც მოითხოვს ინგლისის ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას და ამიტომ მუშების უმეტესობაც ინგლისელ მრეწველებივით იაპონიას თანაუგრძნობს.

საფრანგეთი სულ სხვა თვალით უცქერის რუსეთ-იაპონიის ომს. საფრანგეთმა სულ მცირედ 6 მილიარდი ფრანკი ასესხა რუსეთს—ამ ფულით რუსეთის სახელმწიფო ქაღალდები შეიძინა. რუსეთის ყოველი მარცხი ამ ქაღალდებს ფასს აკლებს და საფრანგეთის საშუალო წრეებს (უმთავრესად ამ წრეებს აქვთ ნაყიდი რუსის ქაღალდები) ურიცხვ ზარალს უქადის. ეს 6 მილიარდი შეადგენს რუსეთ-საფრანგეთის მეგობრობის საფუძველს და საფრანგეთს ჯაჭვივით აბამს რუსეთის პოლიტიკაზე. მაგრამ თვით საფრანგეთშიაც ხალხი ერთნაირად როდი უყურებს საქმეს. საფრანგეთის მუშების უმეტესობა ძლიერ ემტერება თავის საკუთარ ბურჟუაზიას, სულ სხვა ნაირად უცქერის ეხლანდელ ომსა და უფრო იაპონიის გამარჯვება სწადიან, ვიდრე რუსეთისა.

გერმანიის მმართველ წრეებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ მძლავრი თვით-მპყრობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი ევროპის ეხლანდელ წეს-წყობილების ბურჯს შეადგენს; ამიტომ გერმანია ასე ძლიერ თანაუგრძნობს მონარქიულ რუსეთს და ასე ძლიერ ეშინიან „ყვითელ საფრთხისა", მაგრამ გერმანიის მუშა ხალხიც სულ სხვა თვალით უცქერის საქმეს. მუშა ხალხს არავითარი ინტერესი არა აქვს, რომ ევროპაში ეხლანდელი რუსეთი უცვლელად დარჩეს და ამიტომ ნამცეცადაც არ ეშინიან ყვითელ საფრთხისა. გერმანელ მუშებში ბევრს გულწრფელად სწამს, რომ იაპონიის გამარჯვება თვით რუსეთის შინაურ განვითარებისათვის იქნება სასარგებლო და ძლიერა სწყინს, რომ გერმანიის მთავრობა მეგობრულად ექცევა რუსეთს.

აი, ასე უცქერის ევროპა ომსა. ყველა თავის ეკონომიურ ინტერესისა და პოლიტიკურ რწმენის დაგვარად უყურებს საქმეს. როდესაც რამდენსამე თვის წინად რუსეთმა სამხედრო კონტრაბანდას დაუწყო დევნა და ომი მეწამულ ზღვაში გადაიტანა, მთელი დემოკრატიული ევროპა აღელდა, გერმანიის მთავრობამ-კი კეთილის თვალით შეჰხედა რუსეთს, თუმცა სხვა დროს ძლიერ იწყენდა რუსეთის ქცევას. ამას წინად დოგერბანკში მომხდარმა ინციდენტმა მთელი ინგლისი ააშფოთა: რუსის ესკადრამ შეცდომით—ასე ჰფიქრობენ ინგლისში—ზარბაზანი დაუშინა მშვიდობიან მეთევზეებს: ეს ესკადრა მეტად საშიშია ყველა სახელმწიფოს გემებისათვის და მეტადრე ინგლისის გემებისათვისაო. ამიტომ რუსეთს დაუყოვნებლივ სრული დაკმაყოფილება უნდა მოვსთხოვოთ და თუ უარს იტყვის, დაუყოვნებლივ ომი გამოუცხადოთო. რუსეთის მთავრობამ საჩქაროდ გამოაცხადა, მზადა ვარ პასუხი ვაგო, თუ პირუთვნელი სასამართლო დაადგენს, რომ რუსის ესკადრამ შეცდომა ჩაიდინა. იმით კაცობრიობას საზარელი ომი ასცდა თავიდან და საქმის გარჩევა საერთაშორისო გამომძიებელ კომისიას მიენდო".

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი. გაზეთები ბევრსა სწერენ რუსეთისა და იაპონიის ფლოტზე და მომავალ დიდ ბრძოლაზე, მაგრამ სწორე, მიუდგომელ ცნობებს მაინც ძნელად შეჰხვდებით. გუშინაც გვქონდა „რუსკი ლისტოკ"-იდან ამოღებული ცნობები რუსეთისა და იაპონიის ფლოტზე, მაგრამ, როგორც გუშინვე შევნიშნეთ, ეს ცნობები სწორე არ უნდა იყოს; იაპონიას მეტი სამხედრო გემი უნდა ჰყავდეს, ვიდრე წერილის ავტორი ანგარიშობს. რაკი მეტი გემი ჰყავს, რასაკვირველია, ზარბაზანიც მეტი ექნება და ავტორის ანგარიში, ვითომ იაპონელებს ნაკლები დიდი ზარბაზანი ჰქონდეთ ვიდრე რუსებს, იქნება სწორე არ იყოს. იაპონელები ახალ ზარბაზნებს ვერ დასდგამდნენ გემებზეო, მაგრამ კორესპონდენტები იუწყებიან, იაპონელებმა თავიანთი გემები სასებოში შეაკეთეს და ახლად შეაიარაღესო. მართალია 9 თვე ზღვაში ყოფნა იაპონიის გემებს წაახდენდა, მაგრამ მცოდნე ხალხი ამბობს, ვერც რუსის გემები ჩავლენ ახალთ-ახლები შორეულ აღმოსავლეთსაო. ადმირალებს გარდა, დანარჩენ მეზღვაურებსაც დიდი მნიშვნელობა ექნებათ. უცხოელი მეზღვაურები ჰფიქრობენ, რომ იაპონელი მეზღვაურები უფრო გაწვრთნილები და გამოცდილები არიან, ვიდრე რუსის მეზღვაურები, მით უმეტეს, რომ რუსის მეზღვაურებში ბევრი სათადარიგო მატროსი ურევიაო...

პორტ-არტურში რუსებს 5 ამჟამად პირველი კლასის ჯავშნიანი გემი, 2 კრეისერი და 10-ოდე ნაღმიანი გემი ჰყავთ. რა ყოფაში არიან ეხლა ეს გემები, სწორედ არ იციან. ზოგი ჰფიქრობს, ამ ესკადრას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება მომავალ ბრძოლის დროსაო, მაგრამ ზოგი არ ეთანხმება ამ აზრს და ამტკიცებს, რომ თუ ესკადრამ გასძლო როგორმე ბალტიის ესკადრის ჩასვლამდე, დიდს დახმარებას გაუწევს ადმ. როჟესტვენსკისაო. („რ. ლ.").

ახალი ამბავი

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, წელს გაზაფხულზე **„წ.-კითხვის საზოგადოების" ბიბლიოთეკები** ტფილისში საგუბერნიო ადმინისტრაციამ დაუმორჩილა ახალ წესებს. ამ წესების ძალით, ხსენებულ ბიბლიოთეკებს არ შეეძლოთ ჰქონოდათ ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ამის შესახებ „საზოგადოების" გამგეობამ მოხსენება წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს და აცნობა, რომ ბიბლიოთეკების არსებობას ყოველივე აზრი დაეკარგება, თუ აეკრძალება ქართული გამოცემებიო. გუბერნატორმა განიხილა ხელ-ახლა საქმე და ამ დღეებში აცნობა „საზოგადოების" გამგეობას: გამგეობამ შეადგინოს 20 დეკემბრისათვის სია იმ ქართულ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, რომლებიც შეეფერებიან რუსეთში რუსულ ენაზე უფასო ბიბლიოთეკებისათვის ნება დართულ წიგნების და გაზეთების ხასიათს და ეს სია წარუდგინოს დასამტკიცებლად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შემწეობით საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტს. ამ დამტკიცების შემდეგ ბიბლიოთეკებში დარჩება მხოლოდ ის ქართული წიგნები და გამოცემანი, რომელსაც კომიტეტი მოიწონებს. მანამდის კი ბიბლიოთეკები იმოქმედებენ ისევ ძველის წესითო.

◆ 18 ნოემბერს ტფილისიდან ვილნოში წავიდა **ვილნოს გენერალ გუბერნატორი გენერალი ფრეზე.** გენერალი გააცილეს ექსარხოსმა, სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა, გუბერნატორმა, თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, ქალაქის მოურავმა და სხვებმა.

◆ დღეს, 20 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე **მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელს** გენერალ-ლეიტენანტს ი. მ. მალამას წარუდგებიან მთავარმართებლის კანცელარიის საბჭოს წევრნი, კანცელარიის მოხელენი და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

◆ ქალაქ ტფილისში 16 ნოემბერს **ხოლერით ავად გახდა** ერთი კაცი; 17 ნოემბერს მოკვდა ერთი **ხოლერიანი.** ბაქოში 16 ნოემბერს ხოლერით ავად გახდა ხუთი კაცი, მოკვდა ორი. ძალიან მძვინვარებს ხოლერა ლენქორანის მაზრაში, სადაც, სხვათა შორის, გადმოსულ რუსების სოფლებს მოედო.

◆ როგორც გუმბრიდან გვატყობინებენ, 18 ნოემბერს სახალხო მატარებელში (№ 95) **ჰნახეს ხოლერიანი,** რომელიც ბაქოდან ყარსს მიდიოდა. ვაგონი მაშინვე მოხსნეს და ავადმყოფი ბარაკში დააწვინეს.

◆ ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოს იმ 105 ყმაწვილიდან, რომელნიც **არ გამოცხადდნენ კენჭის ამოსაღებად**, პოლიციამ შეიპყრო და საკრებულოს წარუდგინა 7 კაცი, რომელნიც ხუთშაბათს, 18 ნოემბერს, ექიმებმა შეამოწმეს და 4 მათგანი **ჯანმრთელად იცნეს**, 2 გაგზავნეს სამხედრო საავადმყოფოში და ერთს მიეცა შეღავათი.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარ გამგეობისაგან ასი თუმანი მიიღო ერევნისა და განჯის გუბერნიაში **ხოლერასთან საბრძოლველად.**

◆ 18 ნოემბერს ტფილისის გამგეობამ, ხმ. ყარა-მურზას განცხადების თანახმად, დაადგინა, სთხოვოს პოლიცმეისტერს, რომ დიდუბეში პოლიციელთა შტატი გააძლიეროს.

◆ **ავლაბრის მცხოვრებნი** მეტად შეწუხებულნი არიან კახეთის გზატკეცილის მოუკირწყლელობით. პატარა წვიმა კმარა, რომ ქუჩა დიდ გაუვალ ტალახის წუმპედ იქცეს. განსაკუთრებით გაჭირვებაში არიან მეურმე-მედროგე-მეეტლენი.

◆ 18 ნოემბერს, როგორც იქნა, მოხდა სხდომა კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი.** ორჯელ იყო დანიშნული სხდომა და ორჯელვე არ შესდგა, წევრთა დაუსწრებლობის გამო. საბჭოს უნდა განეხილა საბაღოსნო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს მიერ შემუშავებული პროგრამები მეფუტკრეობისა, მებაღეობისა, მებოსტნეობისა, მეღვინე-მევენახეობისა და სხვა საგნებისა, მაგრამ მთელი საღამო უმნიშვნელო კამათს მოანდომა და ბოლოს დაადგინა, ამაზედ პროგრამების განხილვა გადასდოს შემდეგ სხდომისათვის, რომელზედაც პედაგოგები უნდა მიიწვიოს.

◆ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს „ბაკ. იზვ.": 14 ნოემბერს რკინის გზით ბაქოში ჩამოვიდა ერთი ქართველი პ., რომელიც ვლადივოსტოკში სცხოვრობდა. **ამ ქართველს თან მოჰყვა იაპონელი ქალი ხაზიხარა-ტამი.** ბაქოს სადგურზე რკინის გზის პოლიციამ, რომელმაც ეჭვი მიიტანა—ჯაშუში ხომ არ არისო, გაჩხრიკა იაპონელი ქალი, მაგრამ საეჭვო ვერა უპოვნია-რა. ქალაქის პოლიციამ ხელ-ახლა გაჩხრიკა იაპონელი ქალი, რომელიც „კავკაზ"-ის სასტუმროში ჩამოხტა, მაგრამ ეხლაც ვერა უნახეს-რა საეჭვო. პოლიციამ ის გამოარკვია მხოლოდ, რომ ქალს იაპონიაში აღებულ პასპორტის ვადა გასვლოდა. თან ქალს ჰქონდა მოწმობა, რომელიც 23 სექტემბერს ჟანდარმთა უფროსს მიეცა მუკდენში და რომლითაც ნება ეძლეოდა მუკდენიდან მანჯურიის სადგურამდე მგზავრობისა. როგორც პოლიციამ გამოარკვია, ეს იაპონელი ქალი ქართველს თან მიჰყავს ქუთაისის გუბერნიაში, სადაც მართლ-მადიდებელთა წესით ჯვარს დაიწერენ.

◆ ქალაქის გამგეობისათვის საჭირო ბლანკებისა, წიგნებისა და მოხსენებათა დასაბეჭდად ამასწინად **საკონდიციო პირობები იქმნა შემუშავებული.** 18 ნოემბერს ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა პროექტი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას ამას წინად ნ. გ. ზუბალაშვილის ანდერძის განმახორციელებელმა კომისიამ აცნობა, დანკარგულებს მოახდინეთ, ყველა ის ხე-ტყის მასალა, რომელიც ზუბალაშვ[illegible]რობთა თავშესაფარის სადგო[illegible]თვის საჭირო არ არის, გაიყიდოს და აღებული ფული ზუბალაშვილის თანხას მიემატოსო. გამგეობამ ხე-ტყის მასალის გაყიდვა დაავალა კომისიასვე.

ამას წინად ქ-ნმა ს. ნ. მოსტოვიხმა განუცხადა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ჩემს ქმარს მდიდარი ბიბლიოთეკა დარჩა, რომელიც შეიცავს რუსულსა და უცხო ენებზე გამოცემულ წიგნებს 7000 ტომამდე და ქალაქის გამგეობა ხომ არ მოისურვებს ამ ბიბლიოთეკის შეძენას ქალაქის ახალ ბიბლიოთეკისათვისაო. რადგან ქალაქს ჯერ არც საკმაო თანხა აქვს და კარგა ხანიც გავა, ვიდრე ქალაქის სამკითხველო—ბიბლიოთეკა გაიხსნება, გამგეობამ ეს განცხადება უყურადღებოდ დასტოვა და მხოლოდ დაადგინა, განცხადება სახეში იქონიოს იმ დროისთვის, როცა გამგეობა წიგნების შეძენას შეუდგება.

◆ 23 ნოემბრისთვის კრებაა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. სხვათა შორის, კრებამ უნდა განიხილოს მოხსენება საბჭოს წევრის ნ. ა. სულთან. კრიმ-გირეისა მებამბეთა კრებების შესახებ.

◆ კალოუბნის ეკლესიის სამზრუნველოს თავმჯდომარე გ. ი. მუსხელაშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ: „ტფილისის კალოუბნის ეკლესიის გასამშვენიერებლად შემოსწირეს ს. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისამ 100 მ. და ბ. პ. გესლოვზოროვამ 15 მ., რისთვისაც ზემო ხსენებულ ეკლესიის სამზრუნველო შემომწირველთ უცხადებს მადლობას".

◆ თელავის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა ნოემბრის პირველ ნახევარში: 1. სოფ. კალაურის მცხოვრებ მიხეილ ჩხირაშვილის და ივანე ყუციშვილის სახლებს დიდი ცეცხლი გაუჩნდა. ზარალი დიდია; 2. სოფ. წინანდალში ცეცხლი წაუკიდეს გაბრო კალატოზიშვილის სახლს; 3. სოფ. ყურდღელაურში ევგენია ინიშჩეკის სახლი გაქურდეს და 1050 მ. ძვირფასი ნივთები წაიღეს; 4. სოფ. ტოღნიანში გიორგი მაზიაშვილმა მტრობით მძიმეთ დასჭრა ადგილობრივ მამასახლისის თანაშემწე აბრამ ქოქრიაშვილი; 5. სოფ. კალაურში გიო დემეტრაშვილმა მძიმედ დასჭრა თავის ბიძაშვილი კირილლე დემეტრაშვილი; 6. სოფ. ხორხელის მცხოვრების ნიკოლოოზ იმერლიშვილის 8 წლის ბავშვი ალექსი მშობლების შინ არ ყოფნაში თოკზე მიბმულ ზაქს ეთამაშებოდა, თოკის წვერი ყელზე შემოება და ისეთ ნაირად გაემარყუჟებინა, რომ ყელში მოსჭეროდა და დამხრჩვალიყო; 7. სოფ. ძველ გავაზის სოფლის საზოგადოების მამასახლისის თანაშემწეს ისაკ ბულბულიშვილის სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ზარალი დიდია ეჭვი თომა სეთაშვილზე მიიტანეს; 9. სოფ. ძველ გავაზში ივანე მარჯანოვმა ჩხუბის დროს ხანჯლით დასჭრა თავის ერთ სოფლელი დავით გვარამაძე; 10. სოფ. ყვარელში ცეცხლი გაუჩნდა გეგენ ტორილაშვილის სახლს. დაიწვა 5 ურემი თივა, საბძელი და 27 ტომარა სიმინდი.

◆ ტფილისის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა ამ თვის პირველ ნახევარში: 1. სიღნაღის საფოსტო გზა-ტკეცილზე სადგურ ვაზიანთან სართიჭალაში მიმავალი ხალხითა და საქონლით დატვირთული ფურგონი ავდრისა და ღამის სიბნელის გამო გადავარდა გზიდან ხრამში და ერთი მგზავრი ფარსეგოტერ-ხაჩატუროვი მოიყოლია ქვეშ და მოჰკლა; 2. წინაწყაროს საზოგადოების მამასახლისს ღიმაევის 30 ძირ თივას ცეცხლი წაუკიდეს მტრობით. ეჭვი მიხეილ ბოსტაჩიევზე მიიტანეს.

◆ დღეს, 20 ნოემბერს, ტფილისის საბჭოს სარევიზიო კომისია გაემგზავრება ავლაბრისა და კუკიის ქალაქის ადგილების დასათვალიერებლად. ნავთლუღისაკენ კომისია დაათვალიერებს იმ ადგილს, სადაც ახალი პატარა ქალაქი შენდება.

◆ სად. განჯა. 16 ნოემბერს, შუადღის 3 საათსა და 30 წუთზე, როდესაც ზეინკალი ივანე ტიტუნი ორთქლ-მავალზე მუშაობდა, რკინა ასტყდა და მარცხენა ხელი დაიზიანა.

◆ სად. ქარელი. 18 ნოემბერს, საღამოს 8 საათსა და 18 წუთზე, როდესაც სახალხო მატარებელი სადგურზე იდგა, მესამე კლასის მგზავრს დავიდოვს სულ მთლად მოჰპარეს ხაბაკი. ქურდი იქვე სადგურზე დაიჭირეს.

◆ 17 ნოემბერს რაჭის მაზრის მცხოვრებს ვარლამ ჭელიძეს დავით კვესელიძისა და გიორგი ჭელიძის ბინიდან მოუპარავს 2 საათი და ფულად 3 მან. 50 კაპ. ჭელიძე დააპატიმრეს.

◆ ტფილისის მოქალაქემ მიკირტიჩ ვართანოვმა 18 ნოემბერს განუცხადა პოლიციას, ჩემს სახელოსნოში მოსამსახურე 13 წლის მესროფ ვართანოვი 15 ნოემბერს სადღაც წავიდა და შინ აღარ დაბრუნებულაო.

◆ 17 ნოემბერს პოლიციის მე-5 ნაწილში ფეხსაცმელების ხელოსნის მაღაზიაში შეპარულან ქურდები. გაუტანიათ 50 მანეთის ფეხსაცმელები და ტყავეულობა. ქურდები, ტფილისის მცხოვრებნი ბაგრატ მნაცაკანოვი, კარაპეტ ვართანოვი და ოჰანეზ აკოფოვი, უკვე დააპატიმრეს. ქურდებს ჩამოართვეს მოპარული ნივთები და პატრონს დაუბრუნეს.

◆ ხვალ, 21 ნოემბრისთვის, დანიშნულია კრება ფოსტა-ტელეგრაფის შემნახველ-გამსესხებელ კასსის წევრებისა.

◆ როგორც სიღნაღის მაზრიდან გვატყობინებენ, თუქურმიშაში ტვერის დრაგუნთა პოლკის ცხენებს ციმბირის ჭირი გაუჩნდა.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „განათლების ბრალია და სხვა რამდენიმე ლექსი". ანტონ განჯის კარელისა. ფასი ერთი შაური.

პრესსა

გაზეთები, თუ კერძო პირების წერილები პეტერბურგიდან, ყველა იმას მოწმობს, რომ რუსეთში არაჩვეულებრივი გამოღვიძება დაიწყო და ცხოვრებამ ფერი იცვალა. ყველაზე უფრო ეს ცვლილება, რასაკვირველია, სატახტო ქალაქსა და იმის მცხოვრებთ ეტყობა.

გაზეთ „სარატოვსკი ლისტოკ"-ის კორესპონდენტი სწერს:

> სადაც არ უნდა მოხვდეთ—თეატრში, საბჭოში, გაზეთის რედაქციასა თუ სტუდენტის პატარა სენაკში, ყველგან გრძნობთ, რომ პეტერბურგი აღელვებულია და ეს აღელვება გამოწვეულია ღრმა მნიშვნელოვან საგნით. ყველას პირზე „დღიური საჭირბოროტო საკითხები" აკერია და ეს საკითხები არის საკითხები მთელის ჩვენის ცხოვრებისა, პროგრესისა. ყოველი ახალი მოვლენა საოცარის სისწრაფით ვრცელდება. კრება, თათბირი, სხდომა ყოველ დღე იმართება ხოლმე სხვა და სხვა პირთაგან. ყოველ ამასთან გრძნობ, რომ პეტერბურგს აინტერესებს არა მარტო თავის თავი, არამედ მთელი რუსეთიც; იგი ხარბად უგდებს ყურს, რაც პროვინციიდან მოდის, რაც იქ ხდება, და ყოველი ისეთი ამბავი, რომელიც მოწმობს მომწიფებულ პროვინციის საზოგადოებრივობას, სიცოცხლეს უმატებს და ახარებს პეტერბურგელებს, რასაკვირველია, ყველას არა, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ყველას აინტერესებს, აღელვებს, სიცხეს უმატებს. პეტერბურგი ცნობილია, როგორც ბუდე მოხელეობისა, ბიუროკრატიისა; პეტერბურგელს იცნობენ, როგორც ცივ სისხლიან, თავდაჭერილ მოანგარიშეს, და თუ ეს მოანგარიშე ხალხიც გაიტაცა ახალმა სიომ, ეს ნიშანია მისის ძლიერებისა.

* *

იმერეთის სამღვდელოების კრებაზე დეკანოზ ღამბაშიძეს ულაპარაკნია, სხვათა შორის, იმ 30 ათას მანეთზე, რომელიც მთავრობისაგან ეძლევა იმერეთის სამღვდელოებას. ვინც საქმე არ იცის, ეგონება, რომ ეს ფული გაღებულია ხაზინიდან, ნამდვილად კი

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებას ერთი კაპეიკი არ ეძლევა სახელმწიფო ხაზინიდან და ის ოცდა-ათი ათასი მანეთი, რომელსაც იმერეთის სამღვდელოება იღებს ხაზინიდან, სახელმწიფო ხა-

ფელეტონი

ჩვენი შეუგნებლობა

(დასასრული*)

„რადგან ჩვენებურს სკოლებში დედა-ენის ძალიან ნაკლები დრო აქვს დათმობილი და ზოგან სრულიადაც არ ასწავლიან, ამის გამო მშობლები მოვალენი არიან ყოველ დღე ბავშვებს ერთი თავისუფალი საათი მაინც მოანდომებინონ ქართულის წიგნის კითხვასა. უნდა შეუძინონ ბიბლიოთეკა საუკეთესო საბავშვო წიგნებისა დედა-ენაზე, უსათუოდ უნდა დაუბარონ ამავე ენაზე საბავშვო ჟურნალი და ქართული წიგნის კითხვა გადაუქციონ თავისს შვილებს ყოველდღიურ მოთხოვნილებად.—მაგრამ მარტო ოჯახის ერთგულება არა კმარა დედა-ენის გასაძლიერებლად. სკოლა, ეს უძლიერესი კულტურული დაწესებულება, უნდა ეპყრობოდეს ქართულ ენას სრული პატივით, როგორც უსაჭიროესს საგანს... სასკოლო კურსის დასრულების შემდეგ ყოველი ქართველი თავის წმინდა მოვალეობად უნდა სთვლიდეს,—იქონიოს ქართული ბიბლიოთეკა. იმავე ქართველს დანაშაულობად უნდა მიაჩნდეს, თუ არ მისდის ერთი რომელიმე ქართული პერიოდული გამოცემა და ყოველ დღე არ ადევნებს თვალს მშობლიურს პრესსას. იგი მოვალეა მეტიც ჰქმნას. პირადი პროპაგანდით, ქადაგებით მან უნდა სხვა ქართველებში გაავრცელოს, განაძლიეროს თანაგრძნობა და სიყვარული ქართულის ენისა, ლიტერატურისა, ისტორიისა" და სხ...

ამას სწერს ბ-ნი იაკ. კოკებაშვილი თავის მშვენიერს წიგნში: „ბურჯი ეროვნებისა", რომელიც ამას წინად მეორე გამოცემად დაიბეჭდა. წიგნის პირველ გვერდიდან უკანასკნელამდის პატივცემული ავტორი სულ დედა-ენის მნიშვნელობას არკვევს და მის შენარჩუნებასა და განვითარებაზე ჰქადაგებს. აქ აღნიშნულია მრავალ მეცნიერთა და მწერალთა აზრები დედა ენის შესახებ, განმარტებულია დედა-ენის მნიშვნელობა გონებრივისა და ეროვნულ განვითარებისათვის, მოხსენებულია მოვალეობა მშობელთა, ოჯახის, სკოლის, საზოგადოებისა, ერთის სიტყვით, აღძრულ საკითხის შესახებ მრავალი საბუთია ერთად თავმოყრილი, რამდენიმე დაწესებულებაა დასახელებული და საკმაოდ ნათლად გარკვეულია ის საერთო საეროვნო მიზანი, რომელსაც უნდა თანავუგრძნობდეთ და ვემსახურებოდეთ ყველანი.

მაგრამ საქმეც ესაა, რომ ხშირად ის, რაც „უნდა იყოს", ნამდვილად არ სრულდება ცხოვრებაში. მკითხველს დაბეჯითებით ვურჩევთ შეიძინოს ბ-ნ კოკებაშვილის ხსენებული პატარა წიგნი, გულდასმით გადაიკითხოს და შემდეგ რეალურ ცხოვრებაში შემჩნეულ ფაქტებს ჩაუკვირდეს. მაშინ იგი უეჭველად შეიგნებს და მიხვდება, თუ რაოდენ უგულოდ და უყურადღებოდ ვეპყრობით ჩვენ ქართულ ენის სწავლის საქმეს.

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ მრავალი ციფრი და სტატისტიკურად დავამტკიცეთ, რომ ქართველს მეტ ბარგად მიაჩნია თავისი დედა-ენა და საჭიროდ არ სთვლის—მაშინაც კი, როცა ამას არავინ „უკრძალავს",—ასწავლოს თავის შვილებს ქართული წერა-კითხვა. ყველა მეზობელი ხალხნი ამ მხრით წინ მიდიან, ხოლო ჩვენ აქაც უკან ვართ და ნაკლებ გვეტყობა, რომ ვიღვიძებდეთ და წინსვლას ვცდილობდეთ.

დიახ, ცარიელ სიტყვით „პატრიოტობა" და მხოლოდ ფრაზებით გამოხატული სიყვარული ქართულ ენისა ადვილი და იაფია. ეს არ მოითხოვს არც ჯაფას, არც მოქმედებას. ღარიბი კაცი ყოველთვის იაფ საქონელს ეტანება და ჩვენც, ვითარცა შეგნებითა და თვით-ცნობიერებით ღატაკებს, ეს იაფი „პატრიოტობა" მიგვაჩნია სამშობლოს მალამოდ და ხალხის მხსნელად. აბა დაელაპარაკეთ იმ მშობლებს, რომელნიც თავის შვილებს სასწავლებელში ქართულს არ ასწავლიან! ბევრი მათგანი ვითომ თვალებზე ცრემლ-მორეული დაიწყებს „პატრიოტულ" მოთქმას, რომ სახელმწიფო სასწავლებელში ქართული ენა მოძულებულია და მოკლებულია მოქალაქობრივ უფლებას. და ამავე დროს თვითონ განცხადებას ჰგზავნის სკოლის მთავრობასთან,—ჩემ შვილს ქართულს ნუ ასწავლით, რადგან ეს სხვა „სავალდებულო" საგნების სწავლაში ხელს შეუშლისო. ჩვენ ვიცით არა ერთი და ორი მაგალითი, რომ ქართველ მამას გიმნაზიის დირექტორისათვის ასეთი განცხადება გაუგზავნია.

საერთო ინტერესი და სარგებლობა მოითხოვს, ასეთ „ქართველთა" სახელები უკლებლივ გამოცხადდეს, რომ მათი არა თუ მოქმედება, არამედ პიროვნებაც ყველამ გაიგოს და საზოგადოების შეგნებულ ნაწილისათვის თითით საჩვენებელი გახდეს. მაგრამ ჩვენ გვაჩერებს ჯერჯერობით ერთი ძველი ჩვეულება, რომელიც მწერლობაში სალიტერატურო ეთიკადაა მიჩნეული. ეს „ეთიკა" თხოულობს, რომ მწერალი დაზოგვით და მოთმინებით მოეპყრას ადამიანის პიროვნებასა და კერძო ცხოვრებას. ჩვენ პირადად წინააღმდეგი ვართ ამ „ეთიკის" გადაჭარბებულად მორჩილებისა და ცუდ არაფერს ვხედავთ იმაში, რომ პრესსამ სახელდობრ ახსენოს ისეთი ადამიანი, რომელიც თავის „კერძო მოქმედებით" ერისათვის ძირს გამომთხრელი და მავნებელია. ასეთი მოქმედება „კერძო ცხოვრების" საკუთრად და ხელშეუხებელ პირადი საქმეთ ვერ ჩაითვლება. ეს ისეთი საქციელია, რომელიც მთელი ხალხის ინტერესებს შეეხება, და საზოგადოებას აქვს აქ უფლება, გაუწიოს თავის წევრს კონტროლი და ზედამხედველობა. ეგრედ წოდებული საზოგადოებრივი აზრი ერთნაირი ძალაა, რომელიც მოქმედობს ინდიფერენტ და შეუგნებელ ადამიანის თავმოყვარეობაზედაც.

ასეთი საზოგადოებრივი კონტროლი და მსჯავრი მით უფრო საჭიროა ჩვენში, სადაც ასე ძალიან სუსტობს მოვალეობის შეგნება და ეროვნულ აზრით ხელმძღვანელი საქმიანობა. ჩვენში არიან არა თუ ისეთი „ქართველი" მშობლები, რომელნიც შვილებს ქართულს არ ასწავლიან, არამედ მასწავლებელნიც, რომელნიც ამ საგანს იმ შეუგნებელ მშობლებსავით უცქერიან. ბევრი მათგანი, როცა სახელმწიფო სასწავლებელში მსახურობს, სასწავლებლის „წყობილებას" აბრალებს, რომ ქართულის სწავლება ვერ მოუხერხებია. მაგრამ არ იფიქროთ, რომ ასეთი თავის მართლება ყოველთვის კეთილშობილი და მართალი იყოს.

საქართველოში არსებობს ქართველთაგან გახსნილი კერძო სასწავლებლებიც, სადაც სახელმწიფო სასწავლებელთა ცნობილ „წყობილებას" ძალა არა აქვს და ქართულის სწავლებას სკოლის დამაარსებელს არავინ უკრძალავს. საინტერესოა ვიცოდეთ, რა მდგომარეობაშია ქართული ენის სწავლების საქმე ამგვარ სკოლებში. კარგი იქნება ადგილობრივმა კორესპონდენტებმა ამ საგანს მიაქციონ ყურადღება და თავისი დაკვირვება და გამოცდილება გააცნობინონ მკითხველ საზოგადოებას. პირადად ჩვენ გვაქვს ცნობა ერთი კერძო სკოლის შესახებ, რომელიც ამ ერთის წლის წინად ორ ქართველ მასწავლებელს დაუარსებიათ ბათომში. სკოლის დამაარსებელთა დასახასიათებლად შემდეგ საგულისხმიერო სტრიქონებს მწერდა შარშან ერთი კორესპონდენტი: „აქ № და Z-მა დაარსეს კერძო პანსიონი. დამაარსებელნი ქართველები არიან, მაგრამ ქართული ენა არ გახსენებიათ და პროგრამაში არ შეუტანიათ. ამ გარემოებას რეკლამადაც იყენებენ, რომ მეტი მოსწავლენი მიიზიდონ თავის სკოლაში. დადიან ქალაქში და მშობლებს ეუბნებიან: თქვენი შვილები ჩვენ მოგვაბარეთ, ჩვენს სკოლაში ქართულს არ ვასწავლით და ამიტომ ბავშვები რუსულს მალე ისწავლიან და ქართული აქცენტიც არ ექნებათო".

ამ ამბავს განმარტება აღარ ესაჭიროება. იგი ერთხელ კიდევ მეტად გვიმტკიცებს, თუ როგორს ხალხოსნურ სიბნელეში ვართ ჩვენ გახვეულნი. ერთის მხრით ზღუდავს და ამცირებს ქართულ ენის ფარგალს სასწავლებელში „გარეშე მიზეზი" და არსებული სწავლა განათლების „წყობილება"; მეორე მხრით ვამცირებთ, აბუჩად ვიგდებთ და ყურადღებას არ ვაქცევთ თვითონ ჩვენც, როცა შეგვიძლიან და ხელი მიგვიწვდება. და რაღა გასაკვირია, რომ ასეთ გარემოებაში ენა არ ვითარდებოდეს და ჩვენს კულტურულ განვითარებას თვალსაჩინო წინმსვლელობა არ ემჩნეოდეს. ენას, რომელიც აუცილებელი იარაღია ამ განვითარებისათვის, უარ ჰყოფს სკოლაც და ქართული ოჯახიც. ჩვენებური ოჯახი არ უვსებს და არ უსწორებს ამ მხრით ახალ-თაობას იმ ნაკლებობას და უსწორობას, რომელიც შეკავშირებულია ეხლანდელ სასკოლო სწავლა-აღზრდის ვითარებასთან. არა თუ გასწორება, იგი, შეგნებისა და თვით-ცნობიერების მხრით, ისე დაბლა სდგას, რომ იმ პატარა უფლებითაც არ სარგებლობს, რომელიც ქართულ ენას დათმობილი აქვს სახელმწიფო სკოლებში. თან-და-თან მრავლდება რიცხვი სასწავლებლებში მყოფ ქართველ მოსწავლეთა, მრავლდება „განათლებულთა" რაოდენობა, მაგრამ მათში ბლომად მოიპოვებიან ისეთნი, რომელნიც, ასეთი აღზრდის მიზეზით, გადაგვარების გზაზე დგანან და ჩვენი ხალხოსნობისათვის სამუდამოდ დაკარგულნი არიან.

მაგალითად, ამ 7 წლის წინად შემდეგ ამბავს იწერებოდა გაზეთში ერთი კორესპონდენტი:

„მინდა ერთი სამწუხარო ამბავი გაუწყოთ. ამის წინად შემთხვევით ძველ კოლხიდისკენ გავემგზავრე და ერთ იქაურ მახლობელ დაბა-ქა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2678.

ზინის ფული კი არ არის, არამედ მეფეების და თავად-აზნაურობის უხვი შეწირულ მამულებისა და ადგილების ღალაა, რომელიც ჩვენ მონასტრების და ეკკლესიების შესანახად იყო დადებული და რომელი ადგილებიც ხაზინამ მიიღო 1870 წლებში. მამულების შემოსავალი ღალები შეფასებული იყო 30 ათას მანეთად 65—1868 წელში. ყველამ იცის, თუ რა კიტრის ფასად იძლეოდა საეკკლესიო მამულები წინეთ ჩვენი საეკკლესიო მამულების მმართველებისაგან... დღეს ეს მამულები ერთი ორად და ერთი სამად მეტს იძლევა. საჭიროა, სამღვდელოებამ დაუმტკიცოს ყველას, რომ ეს ფულები სახელმწიფოს ხაზინის ფულები კი არ არის, არამედ ჩვენი მონასტრებისა და ეკკლესიების მამულებისაა, რომელნიც ხაზინამ მიიღო. საჭიროა ვითხოვოთ სემინარიის გახსნა, სამღვთო სჯულის დედა-ენაზე სწავლება მდაბალ კლასებში, ქართული ენის რიგიანად სწავლება ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში... თხოვნა აკრძალული არ არის. თუ მიაქცევენ ყურადღებას, ხომ კარგი, თუ არა და მომავალ თაობის წინაშე ჩვენ მაინც სვინდისი აღარ შეგვაწუხებს, იტყვიან: უთხოვნიათ, მაგრამ თხოვნა არ შეუწყნარებიათო. („მწყემსი“, № 21).

კრებამ სამი პირი აირჩია (თვითონ დეკ. ლამბაშიძე, მღ. ე. ვეფხაძე და მღ. ს. მჭედლიძე) და მიანდო შესაფერ შუამდგომლობათა აღძვრა.

თუ დეკანოზ ლამბაშიძის სიტყვიდან მოვიყვანეთ ეს ადგილი, ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ რამე დიდ მნიშვნელობას ვაწერდეთ ამ გვარ შუამდგომლობას. არა, საინტერესო და საყურადღებო აქ თვით სიტყვაა: სასულიერო პირი იშვიათად გვინახავს ასეთ კილოზე მოლაპარაკე.

თავ. გ. დ. ერისთავის სახსოვრად

(წაკითხული 6 ნოემბერს ქუთაისის თეატრში)

ის კომედია, რომელსაც „გაყრა“ ჰქვიან და რომელიც დღეს ამ თეატრში უნდა წარმოადგინონ, ყოველმა ქართველმა, ყოველმა გულმხურვალე მამულიშვილმა სამუდამოდ მტკიცედ უნდა ჩაიბეჭდოს გულში. ეს კომედია იყო ის პირველი ვარსკვლავი, საამოდ მოკაშკაშე, შუქ-მომფინარი, რომელიც გამოჩნდა ჩვენის ახალ ისტორიის მოღრუბლულს ცაზე. ამ პირველს ვარსკვლავს სხვებიც მიემატა, და ცის შემაცქერალს, უნუგეშო ქართველს ცხოველმყოფელის იმედის შუქი მოეფინა გულში...

დროთა ვითარებამ თუ ბედმა უკუღმართად წარმართა ჩვენის ქვეყნის საქმე. ორი ათასის წლის განმავლობაში სისხლით და ოფლით მონაგარი ეროვნული დიდება და სახელი ქართველებისა დაიმარხა კრწანისის ბაღებთან... კაცთმოძულე ირანის მპყრობელმა აქ მოუღო ბოლო ოდესღაც მორჭმულ-ძლიერს საქართველოს, იმის ძველს თავისუფალს გზაზე მავალს ცხოვრებას; აქ დასრულდა ისტორია ძველის საქართველოსი... ეგეთი ბედი ხვდა არა მარტო ჩვენს მრავალტანჯულს ქვეყანას. ისტორიის გადუვალ კანონების ძალით, დაემხვნენ მრავალნი დიდებულნი სახელმწიფონი ძველის დროისა, ის სახელმწიფონი, რომელნიც სამართლიანად ითვლებიან აკვნად კაცობრიობის განათლებისა და შემქმნელად დიადის ხელოვნებისა, იმ ხელოვნებისა, რომელზედაც აღიზარდა მთელი კაცობრიობა. სადღაა ეხლა დიდებული სახელმწიფონი აღმოსავლეთისა, სადღაა ეხლა ძველი საბერძნეთი და რომი! აჩრდილი-ღა დარჩენილა მათი. ვერც საქართველომ დააღწია თავი შავს ბედს. ვერ იხსნა იგი დაცემისა და გათახსირებისაგან ვერც ერეკლეს სამხედრო ნიჭმა და სიყვარულმა, ვერც ფოლადმა მკერდმა თავდადებულის შვილებისამ.

ამგვარად დასრუ[illegible] თორმეტი საუკუნის დამდევს საქართველოს ძველი ისტორია...

ახალის დროის დადგომით ჩვენს ქვეყანას და ერს სულ ახალი გზა და კვალი. საზარელს, გულის დამთუთქველს სანახაობას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყანა წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში. საქართველოს აღარ ამშვენებდა ის უდიდესი „ქვეყნის მადლი“, რომელიც ძველად ჰფენოდა და რომლის შესარჩენადაც იბრძოდა იგი იმდენი საუკუნოები ქართველმა ერმა, ვინ იცის, რამდენი მწარე ცრემლი დაჰღვარა, როდესაც იგი მოუმწყვდა ახალ ცხოვრების ვიწრო კალაპოტში, როდესაც იგრძნო ამ ცხოვრების საშინელი სუსხი, სასტიკი მოთხოვნილებანი. ეგ ახალი ცხოვრება ზღაპრულ ცხოველსავით გადაეღობა წინ თავ-ბრუ-დახვეულ ქართველს და ემუქრებოდა: გამომიცან, თორემ ჩაგნთქავო. ქართველი კი, ახალი ცხოვრებისთვის მოუმზადებელი, განწირულებას ეძლეოდა და სრულიად უიმედოდ შეჰყურებდა თავის ქვეყნის მომავალს. ამგვარი იყო ჩვენი ერის სულის მდგომარეობა მაშინ, როდესაც იგი რუსეთის მფარველობის ქვეშ მოექცა. თუ რა საზარელი, რა სულის და გულის შემხუთავი იყო ეგ ახალი დრო ჩვენის გონებრივის და ზნეობრივის წარმატების ისტორიისა, ამას ჰმოწმობენ იმ დროინდელი თხზულებანი ჩვენის მგოსნებისა—ნ. ბარათაშვილის, ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის და სხვათა. გულმხურვალე მამულიშვილი იყო ბარათაშვილი და აბა როგორ შეეძლო აეტანა სულის შემხუთავი ჰაერი, საზოგადოებრივ ცხოვრების პირობები იმ დროისა! აწმყოთი გულ-დათუთქულმა პოეტმა თავისი „განწირული სულის კვეთება“ ისეთის ძლიერებით გამოხატა „მერანში“, როგორც შეჰშვენის დიდ პოეტს. ეს ლექსი თავიდან ბოლომდის თითქმის წყევა-კრულვაა, ტანჯულ გულიდან ამონაკვნესი. ან როგორ გაუძლებდაო გული მამულიშვილებს, როდესაც ნათლად ჰხედავდნენ ჩვენის საზოგადოების გათახსირების ნიშნებს. ღხინშაც ნაღვლიანი ხმა მაშინდელ ჩვენის პოეტების ქნარისა, მართალია, აღწევდა საზოგადოების ყურამდის, მაგრამ ამ ხმას იმდენი ძლიერება და გავლენა არა ჰქონდა, რამდენიც საჭირო იყო. ახალი დრო და იმის მიერ წარმოშობილი პირობები ერთობ გართულდა. ახალმა დრომ ახალი სამოქალაქო ცხოვრება დაჰბადა და ამ ცხოვრებამ წამოაყენა ახალი მოთხოვნილებანი, რომელნიც უეჭველად დაკმაყოფილებას მოითხოვდნენ.

დიდი მგოსნები იყვნენ ნ. ბარათაშვილი, ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ა. ორბელიანი, მაგრამ ისინი ვერ ჩაითვლებიან ბელადად, მესვეურად იმ წრისა, რომელმაც შეჰქმნა ჩვენში ახალი დროის მწერლობა, ახალი ლიტერატურული ენა და თეატრი. ეგ ბელადობა ერგო თ. გ. დ. ერისთავს, რომელიც, იქნება, ნიჭით იმ ზემოხსენებულ პოეტებზე უფრო დაბლა იდგა, მაგრამ მიუხედავად ამისა შეჰქმნა ის, რაც სხვებს ვერ მოეხერხებინათ. სხვა პოეტები განცალკევებულად ჩანგს აჟღერებდნენ, განცალკევებულად ბრწყინავდნენ, და ისე დაიხოცნენ, რომ ვერც ბევრი მიმდევარი გაიჩინეს და ვერც ღრმა კვალი დააჩნიეს მაშინდელს საზოგადოებრივ ცხოვრებას. გ. ერისთავი კი ამ მხრივ უფრო ბედნიერი იყო; მან მიმდევრებიც ბევრი გაიჩინა, მთელი ხანა და სკოლა შეჰქმნა ჩვენს მწერლობაში. გ. ერისთავის ამისთანა ნაყოფიერების მიზეზი უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ, აკაკის თქმისა არ იყოს, „მაშინ, როდესაც მისი თანამედროვე მგოსნები, თუმცა ძლიერად, მაგრამ უნაყოფოდ მხოლოდ თვალ-საჩინოდ ბრწყინავდნენ; მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელები პირად სიცილ-ტირილში მხოლოდ ზოგიერთების გულის პასუხს მოსთქვამდნენ, გ. ერისთავი საზოგადო ხალხის კვნესას და ხარხარს გამოხატავდა.“ შეიძლება, ზოგიერთმა გარემოებამაც წარუმართა ხელი გ. ერისთავს ამისთანა სასარგებლო მოღვაწეობისათვის, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ იმისი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის წარმატების ისტორიაში უდიდესია, ვინაიდან იგი სამართლიანად ითვლება მამათმთავრად, შემქნელად ჩვენის ახალ მწერლობისა, ამ მწერლობის შესაფერ ენისა, ჩვენის ეროვნულის თეატრისა. წრეულს 9 სექტემბერს განვლო 40 წელიწადმა მას შემდეგ, რაც გიორგი ერისთავი გარდაიცვალა; განვლო 54 წელიწადმა მას შემდეგ, რაც დიდად-მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს მიეცა დასაბამი. 2 იანვარი 1850 წ. იყო ის ბრწყინვალე დღე, როდესაც გ. ერისთავმა თავისი კომედია „გაყრა“ პირველად უჩვენა საზოგადოებას ტფილისის გიმნაზიის სცენაზე. იმ ბედნიერს საღამოს გ. ერისთავმა, რომელიც რეჟისორიც იყო და მიკირტუმ კასპარიჩის როლის ამსრულებელიც, საძირკველი ჩაუყარა იმ წმიდა ტაძარს, რომელსაც ეროვნული თეატრი ჰქვიან. დღეს, ღვთის შეწევნით, ჩვენი თეატრი სახალხო შექმნა; აქ ჩვენ ვეწაფებით სიამოვნებას, გრძნობის და გონების გამწვრთნელს; აქ ჩვენ ვეჩვევით კეთილს ზნეობას, კეთილ კაცობას. ადვილი როდი იყო თეატრის შექმნა ჩვენთვის, როდესაც არც ნივთიერი საშუალება გააჩნდა ჩვენს საზოგადოებას, არც სათამაშო პიესები, არც მოთამაშეები. მაშ გ. ერისთავის მოგონების დღეს დიდებით მოვიგონოთ ის პირნი მაშინდელის ჩვენის საზოგადოებისა, რომელნიც 54 წლის წინად გიორგისთან ერთად გამოვიდნენ სცენაზე „გაყრის“ სათამაშოდ. ეს იყო პირველი წარმოდგენა პირველ ქართულ პიესისა, და ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ კიდეც ესმოდათ, რომ ასრულებდნენ საქვეყნო საქმეს. ამ თვალით უყურებდა საქმე ის დიდებული კაცი, რომელსაც შემდეგ მოწამებრივად სიკვდილი ხვდა წილად. იმ საღამოს დიმიტრი ყიფიანი „გაყრაში“ ივანეს როლს ასრულებდა. კიდევ დიდება და ვაშა პირველ წარმოდგენის მონაწილეთ, ვინაიდან იმათის ხელით დაიდო პირველი ქვა იმ დიდებულ შენობისა, რომელსაც ჰქვიან ქართული თეატრი.

ფრიად საყურადღებოა იმ კაცის ცხოვრება, რომელსაც ეგოდენი ღვაწლი მიუძღვის ქვეყნის წინაშე, საინტერესოა მით უფრო, რომ ეგ ცხოვრება განსხვავებულია. გ. ერისთავის ცხოვრებაში იყო ისეთი მომენტი, რომელმაც სამუდამოდ აღმოუფხვრელი კვალი დააჩნია მთელს მის ზნეობრივს პიროვნებას; ამ მომენტმა შესცვალა მთელი არსება გიორგი ერისთავისა საკვირველად, და გახდა იგი სასარგებლო, გულ-გაუტეხელ საზოგადო მოღვაწედ. ეგ მომენტი იყო დიდი უბედურება გ. ერისთავის ცხოვრებაში, და ვინ იცის იყო სხვას რომ შეჰხვედროდა, იქნება ისე დაეზაფრა, რომ ყოველივე მისწრაფება და საზოგადოებრივი იდეალი გაექარწყლებინა და თითონ ის უღონოდ გადაექცია, მაგრამ გ. ერისთავისთანა კაცებს უბედურება და დაბრკოლება კი არ აძაბუნებს, კი არ აბეჩავებს, პირიქით, დაბრკოლება ორკეც მხნეობას, ძალას იწვევს მათში. მაინცა და-მაინც ჩვენს პოეტს იმ თავიდანვე ბედი არ უღიმოდა; მან გამოიარა საშინელის იმედის გაცურვება და ოცნების დამსხვრევა, გამოიარა ჯერ ხანგრძლივი პატიმრობა და მერე განდევნა სამშობლოდან და უცხოეთში მწარე მარტოობა, მაგრამ ამით გიორგის გული არ გასტეხია. იქნება, როგორც დღეს, მაშინაც ბევრი იყო ჩვენში იმისთანა ქართველი, რომელიც დაუძლურებულია გადამეტებულის პესსიმიზმით, და სამშობლოს საკეთილდღეოდ გარჯა-მოღვაწეობას არჩევს უსარგებლოდ ცრემლი აფრქვიოს. გ. ერისთავი ამგვარი კაცი როდი იყო: მან იცოდა, რომ სამშობლოს სიყვარული მისგან ითხოვდა უსარგებლო ტირილსა და გოდებას კი არა, დაუღალავს შრომას, მხნე მოღვაწეობას... **ილ. პონტელი.**

(შემდეგი იქნება)

წერილები

ს. კორბოული (იმერეთი). როგორც იქნა, კორბოულის ერთკლასიანი სკოლა გადაკეთდა ორკლასიანად. 16 ნოემბერს მოხდა საზოგადო ყრილობა. ხალხმა ერთხმად დაადგინა, გადაკეთდეს სკოლა ორკლასიანად იმ პირობით კი, რომ მეორე მასწავლებელს ხაზინამ აძლიოს ჯამაგირი. ამ საქმის მოთავე და სისრულეში მომყვანია შორაპნის მაზრის პირველ ნაწილის მომრიგებელი შუამავალი თავ. ა. მაჩაბელი, რომელიც რამდენჯერმე იყო აქ. ამას წინად საზოგადოებამ დაადგინა, დააარსოს შემნახველ-გამსესხებელი კასსა. განაჩენიც წარადგინეს დასამტკიცებლად სადაც ჯერ არს. ამ კასას დიდი მნიშვნელობა ექნება ღარიბ მცხოვრებთათვის, რომელნიც ფულს იღებენ სასარგებლოდ და იხდიან 30%, 40% და ზოგიერთ შემთხვევაში მეტსაც. კასიდან შეეძლებათ 10% წაიღონ ფული. ეს საქმეც თავ. მაჩაბლის მეცადინეობით ეწყობა.

სიმინდის და ღვინის მოსავალი წინა წლებთან შედარებით ურიგო არ არის. ამინდი კარგი იყო აქნობამდის, ახლა კი ურევს თოვლს, მაგრამ მაინც თბილა. ქურდობა პირუტყვისა ამ წინაზე ხშირი იყო, ახლა ცოტათი შესუსტდა. სამაგიეროდ ქალების მოტაცება გახშირდა. 10 ნოემბერს, დილის 10 საათზე, კ—ემ მოიტაცა მ—ის ქალი. მოუვარდა სახლში 6 კაცი; ქალი მარტო იყო, სტაცეს ხელი და წაათრიეს. თუმცა ქალმა ბევრი იყვირა—მიშველეთო, მაგრამ მშველელი არავინ გამოჩნდა, რადგან ამ დღეს გიორგობა იყო მახლობელ სოფელში და ხალხი იქ იყო წასული. ბოლოს ბევრი იმეცადინეს ქალის ნათესავებმა, რომ თავისი შვილი ენახათ და ნახეს კიდეც სამი დღის შემდეგ. ბოლოს საქმე ჯვარის წერით გათავდა.

ლახ-ხანი.

სოფ. ალავერდი (სამეგრელო). ალავერდში წმ. გიორგის ეკკლესიაა. წელიწადში ორჯერ დღესასწაულობენ ამ ეკკლესიის დღეობას—10 ნოემბერს და 23 აპრილს. წმ. გიორგის ხატი ძლიერ ხატად არის აღიარებული. მართალია ხატის იმედით ბევრი მოდის, მაგრამ უმეტესობა მაინც სავაჭროდ იყრის თავს. ერთი დღეა მარტო ვაჭრობა, მაგრამ ალავერდი აქეთა მხრის ცენტრია. სავაჭროდ მოჰყავთ შინაური წვრილფეხა საქონელი, შინაური ფრინველები და ამასთანავე მოაქვთ მეფართლეებს ფართალი. სოფლის ნაწარმოები სალდება: ნაბადი, საჩოხე შალი, წინდები, თიხის ქურჭელი და სხვ. ერთის სიტყვით, სოფლის ღარიბი საზოგადოება აღდგომის მოახლოვებას ისე არ ნატრობს, როგორც ალერტობას (ასე უძახიან აქ). დიდი ხანია, რაც ადგილობრივ მემამულეებსა და ეკკლესიის შორის დავაა ბაჟის თაობაზე. ეკკლესიის გამგეთ უნდათ მარტო ეკკლესიამ ისარგებლოს მოვაჭრეებისაგან აღებულ ბაჟით, მიწის პატრონები-კი თავის ჯიბისათვის ზრუნავენ. ასეთ გაწამაწიაშია საქმე. წარსულ წლებში ხან აძლევდნენ ნებას ვაჭრობისას და ხან არა. ნამდვილ განკარგულებას ვერ ეღირსა საზოგადოება. წრეულ 10 ნოემბერს ჩვეულებრივ თავი მოიყარეს სოფლელებმა. მოიტანეს ვისაც რა ჰქონდა გასასყიდად. ყველაფერი მზად იყო. თუმცა ავდარი უშლიდა ხელს, მაინც გაჭირვებულმა ხალხმა ყველაფერი აიტანა. მაგრამ მოვიდნენ საერობო დარაჯები, დაერივნენ და კარავები დაუშალეს. ორ ვერსტზე ახლო ეკკლესიასთან არავის მისცეს ვაჭრობის ნება. საზოგადოება შინ დაბრუნდა.

ვ. გბდილია.

მაიდანი (იმერეთი). თუ კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეში გავრცელებულია ქურდობა-ავაზაკობა, ჩვენში გამეფდა და თითქმის ჩვეულებადაც გადაიქცა ქალის მოტაცება. აქ თითქო შეუძლებლად ხდება მოუტაცებელი ცოლის შერთვა. „რადა შორს გარბიან ეგ დალოცვილი ჩვენი „ბარიშნების“ პატრონები სასიძოების საძებნელად, ჩვენ ალმასივით ბიჭები აგერ არა ვართ“-ოო, ამბობენ ჩვენში ყმაწვილები. თუ ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოეწონა, მეტი არაფერია საჭირო. სიყვარულის განცხადების ცოტა ხნის შემდეგ ვაჟი მარტოთ-მარტო მიდის სატრფოსთან, უცერემონიოდ და დედ-მამის დაუკითხავად გადმოჰყავს და არხეინად მიაქანებს სახლისაკენ. რა თქმა უნდა, მეორე დღეს ერთი ვაი-ვაგლახია მომტაცებლის ოჯახში. ქალის პატრონი ემუქრება: „ციმბირს იქით გადავაკარგვინებ ხელმწიფეს შენს თავსაო, ნაობახტში გამოგალპობო“. სოფლის პოლიცია ოქმს უყენებს, თან გულში უხარიან, ეგება რამე ავაფცქვნაო. მაგრამ, პოლიციის სამწუხაროდ, ბოლოს იმართება მოლაპარაკება, რომელიც თავდება ორივე მხრის სასიამოვნოდ. გაზაფხულის ერთ დილას ადრესხვაგან მივდიოდი და გზაზე შევხვდი სწორედ იმ გლეხს, რომელსაც იმ ღამეს ქალი წაართვა ახლობელმა მეზობელმა. მას თოხი გაედო მხარზე და ყანაში სამუშაოდ მიდიოდა. გამიკვირდა და დავეკითხე: კაცო, სად მიხვალ, განა შენი ქალი არ იყო, რომ მოიტაცეს-მეთქი?—კი, ბატონო, მარა ვაპატიე, რადგან მითხრა იმ ბიჭმა, მზითევს არ გთხოვ, თუ ქალს დამანებებო. „ხლაფორთის“ თავი არა მაქვს. როგორც მოგეხსენება, ფული ცოტა ქე მეძვირება. და ცოტა არ იყოს მსიამოვნობს, რომ ასე იაფად ვასაღებ ჩემს ძღაბსაო. (ქალს).

წარსულ ოქტომბერს დაბრუნდა სამსახურიდან სალდათი ჯ—ძე, რომელიც სამსახურში ყოფნის დროს ცალი ფეხი გაუფუჭდა და კიდევაც მოსჭრეს. ეხლა ყავარჯენებით დაცოცავს. ნოემბრის პირველ რიცხვებში მა წაართვა თავის მეზობელს უფროსი ქალი. ქალი ისე მხიარული იყო, რომ ვერც მშობლების მუქარამ და ვერც მეზობლების გაკიცხვამ ვერ შეარყია. ეს ამბავი ახლო-მახლო სოფლებს მოედო. ყველა დაფრთხა, ვისაც გასათხოვარი ქალები ჰყავს. თუ დაინახეს უცხო პირი, ან ქალებს ვინმე საეჭვო ყმაწვილი ელაპარაკებოდა, მთელი ორი-სამი ღამე ქალების პატრონ-ნათესავები თოფ-იარაღით ფეხზე დგანან, თვალებს აცეცებენ ყოველ მხრივ, აბა საიდან დაგვეცემიან მოსატაცებლადაო.

ოქტომბრის დამლევს რამდენიმე კაცი თავს დაეცა ოქროსპირ გეგენავას, რომელიც სასიკვდილოდ დასჭრეს, წაიღეს 15 მან. ფული და რამდენიმე თამასუქი. მსუბუქად დასჭრეს ოჯახის სხვა წევრები, სხვათა შორის, ორი მუნჯი. ეჭვი მიიტანეს ამავე სოფლის მცხოვრებ თ. მ. შვილებზე, რომელნიც დააპატიმრეს, მაგრამ რამდენისამე დღის შემდეგ ისევ გაუშვეს. გამოძიება სწარმოებს.

მაიდნელი.

ს. გაგიდა (სამურზაყანო). ეს სოფელი სამურზაყანოშია, შავი ზღვის პირად. აქ თორმეტამდე ხეტყის ქარხანაა. ამ ქარხნის პატრონები უმეტეს ნაწილად გურულები არიან. მუშებიც გურულები არიან. რვა ნოემბერს ვიღაც სამი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა საბახტარიშვილის ქარხანას. თავლა გატეხეს და ცხენი წაიყვანეს. ცხენის წაყვანის შემდეგ გაალვიძეს მუშებმა. იმავე ქარხნის მმართველი, არონ ჭყონია, იაუცმელად დაედევნა და ესროლა რევოლვერი. ქურდებმა რევოლვერითვე გასცეს პასუხი და დასჭრეს ტყვიით არ. ჭყონია, რომელმაც მეორე დღესვე სული დალია. არ. ჭყონიას მოკვლის შემდეგ კიდევ მოსულან ის ყაჩაღები და უთქვამთ მუშებისთვის, ყველანი აიბარგენით და გაგვშორდითო. ასეც მოიქცნენ. სამი ქარხნის მუშა უკვე წავიდა. მიზეზი მეგრელებსა და გურულებს შორის ჩამოვარდნილი განხეთქილებაა.

დროებით გაგიდელი

დაქში მივედი ერთის კაცის სანახავად; აქ მითხრეს, რომ იგი თ. ა—სას არისო. მაშინვე გავტრიალდი და შევედი თავადისას და ვკითხე, ეს და ეს თუ ბრძანდება აქ, ნახვა მინდა მეთქი. მოსამსახურემ მიპასუხა, რომ ის თავის სახლში წავიდა და აქ არ არისო. ამასობაში ჩვენთან აივანზე გამოვიდა ერთი მშვენიერი ნახატი ახალგაზდა თხუთმეტ-თექვსმეტის წლის გასათხოვარი და მკითხა:

„— რა უნდა შენ?

„ვიფიქრე, ბავშვების გუვერნიორი ქალი არის მეთქი და იმისებურად ვუპასუხე:

„— მე გიორგი უნდა.

„ჩაფიქრდა. ცდილობდა, სიტყვებს იგონებდა ჩემთან სალაპარაკოდ. ბოლოს, როგორც იყო, გაიხსენა და მითხრა:

„— გიორგი აქ არა, გიორგი დერევნია ცაშდა.

„— რამდენი ვერსტი იქნება აქედან იქამდის? შევეკითხე.

„— ვიორსტ სამიი იქნები, მომიგო.

„ამ პასუხზედ მოსამსახურემ შენიშნა:

„— Отчего не тринадцать?

„— Ну да, я же говорила.

„— Вы ему сказали только три.

„— Ахъ, какъ я… სიტყვა არ დაუთავებია, უცებ გატრიალდა და ოთახში შევიდა.

„— ვინ არის ეს მშვენიერი, ფრანგია? ვკითხე მოსამსახურეს, დარწმუნებული, რომ უთუოდ უცხო ტომს ეკუთვნოდა. მოსამსახურემ გაკვირვებით შემომცინა და მითხრა:

„— რამ გაგაფრანგა, რას ამბობ! ეს კნიაზის ქალიშვილია, კნიაჟნაა.

„— ქართველი ქალია? მერე ქართული რომ არ იცის!

„— ქართულად სადღაა ელაპარაკება, როცა არავინ სხვა ჰყავს ქართულად! ან კი რა საჭიროა, რუსული კარგად იცის. კნიაზი ჭკვიანი კაცია, მან უკეთ იცის, რომელი სჯობს. სულელი რომ ყოფილიყო, არც დენერალი იქნებოდა“..

გაზეთს, რომელშიაც ეს წერილია დაბეჭდილი, განკერძოვებულ მოვლენად მიაჩნია ასეთი ამბავი და კორესპონდენციას ამგვარ შენიშვნას უკეთებს თავის მხრით: „არა გვგონია ასეთი მაგალითი ხშირი იყოს, რადგან ქართველ ქალთა შორის ეხლა უკვე გაიღვიძა თვით-ცნობიერებამ და სამშობლო ენას საამოვნებით სწავლობენო“.

აქ მოთხრობილი ამბავი სრულიადაც იშვიათი არაა იმ წრეში, რომელსაც კორესპონდენცია შეეხება. მე თვითონ მინახავს ჩვენში დაბადებული და აღზრდილი დიდი გვარის „კნიაჟნა“, რომელიც სოფლის გლეხებს სწორედ „დერევნია ცუდი“-ს უუბნებოდა. ქართლის ერთ მიყრუებულ სოფელში შევხვდი აგრეთვე ახალგაზდა ქალს, რომელიც თავის ნათესავებს, რომელთაც რუსული არ იცოდნენ, თარჯიმანის საშუალებით ელაპარაკებოდა. ქართული იმდენად იცოდა, რომ კითხვაზე: რომელ კლასში ხარ?—ასეთი პასუხის მიცემა შეეძლო: „ვოსმოიში ჩავედიო“. დედა ამ გიმნაზიის „ვოსმოი“ კლასში „ჩაულ“ ქალისა გახლდათ შთამომავლობით ქართველი, რომელიც ლაპარაკის დროს რუსულ გრამატიკას შავ დღეს აყენებდა, მაგრამ ქართულს მაინც არ ამჟღავნებდა. უნდა გამოვტყდე, ეს ამბავი ერთის მხრით დღესაც საკვირველად მიჩანს და ვერ ამიხსნია. ვერ გამიგია, როგორ მოახერხა ამ რუსულის დამტვრეულად მოლაპარაკე დედა-კაცმა თავისი ქალი ამ ჩვენს ერთ ტკაველა ქვეყანაში ისე გაეზარდა, რომ მას რამდენიმე ქართული ფრაზა მაინც არ ესწავლა. ესეც, უეჭველად, ერთნაირი მოხერხება არის, რომელსაც ცოტა ზრუნვა და მეცადინეობა არ დასჭირდებოდა.

დროა, თავის მოტყუებაზე ხელი ავიღოთ და პირდაპირ შევხედოთ ცხოვრების მოვლენათ. რაც უნდა მწარე და უსიამოვნო იყოს ესა თუ ის მოვლენა, მისი სისწორით დანახვა და დაფასება უფრო სასარგებლოა, ვიდრე თვალების დახუჭვა და ოცნებით თავის სიამოვნება. ქართული ენის უცოდინარობა ქართველ „ნასწავლ“ ახალ თაობაში იშვიათი არ გახლავთ. საშუალო სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდათა უმრავლესობას ქართული წერა-კითხვა უფრო ეძნელება, ვიდრე, მაგალითად, ფრანგულად კითხვა და გაგება. გიმნაზიაში წანაკითხი ქართულიც და ფრანგულიც არა სავალდებულო ენად ითვლება; ქართველი მშობლები, რომლებიც თავის შვილებს ქართულის სწავლის დროს სრულს თავისუფლებას აძლევენ, ფრანგულისათვის ძალას ატანენ და აშ „საჭირო“ ენის სწავლას მუდამ ყურში ჩასჩიჩინებენ. ევროპიული ენა საჭიროდ ითვლება არა რაიმე ცოდნის შესაძენად,—თვითონ მშობლებმაც იციან, რომ გიმნაზიიდან გამოსულ ქალებში ასში ერთს არ შეუძლიან არც ერთ ევროპიულ ენაზე თავისუფლად წიგნის წაკითხვა; ევროპიული ენა საჭიროა „საზოგადოებაში გამოსასვლელად“, რომ ახალგაზდა ქალმა იცოდეს რამდენიმე ფრანგული ფრაზა და შეეძლოს თავისი ცოდნით მოარშიყე კავალერებთან თავის მოწონება. თუმცა სუსტად ასწავლიან სასწავლებელში უცხო ევროპიულ ენას, მაგრამ ისე სუსტად მაინც არა, როგორც ქართულ წიგნს და ქართულ წერა-კითხვას. მე მქონდა შემთხვევა ამ დღეებში ამის შესახებ ერთ გიმნაზიის მეცხრე კლასის მოსწავლე ქალთან მელაპარაკნა და იგი ქართულს ენის ცოდნაში გამომეცადნა. ქართველია, ქართველებში გაზრდილი, თვალებ-მოელვარე, სახით ანგელოზის მსგავსი; იცის ქართულად საუცხოოდ ლაპარაკი, ქართული წერა-კითხვაც უსწავლია დაბალ კლასებში. და დღეს აი როგორი ქართულის მცოდნე გახლავთ: „ძ“-ილს „მ“-ანისაგან ვერ არჩევს, „ე“-ნს „გ“-ინისაგან, თავის სახელისა და გვარის მოწერას 15 წუთს უნდება და წიგნის ერთ გვერდის ჩაკითხვას—ნახევარ საათს. ასეთია მისი ქართული ენის ცოდნა. ვკითხე: რომელიმე ქართული გაზეთი, ჟურნალი ან რამე წიგნი თუ წაუკითხავს, ან ქართულ თეატრში თუ ყოფილა. ყველა კითხვაზე ერთი პასუხი იყო: არა!

— მერე რად არ ცდილობთ, რომ ქართული უკეთ ისწავლოთ და თქვენს დედა-ენაზე წიგნი იკითხოთ?

— რად მინდაო, მოკლედ ცხვირის აწევით ამ უშინაარსო მზეთ-უნახავმა.

ამავე დროს მასთან იყო მისი ამხანაგი ქალი, ეროვნებით პოლონელი. ამ ქალს გაამხილე ის, რაც ამისთვისაც კარგად ვიცოდი: რომ თვითონ მან მშვენივრად იცის პოლონური ენა, კითხულობს წიგნებს, გაზეთებს, რომ გადაგვარებული და დედა-ენის უცოდინარი პოლონელ ქალებში იშვიათი მოვლენა არის და სხვ. შავ-თვალწარბა ქართველი მოსწავლე ქალი ისმენდა ამ ლაპარაკს უგულოდ და უსულოდ, თითქო მისი საწყლო და საგულისხმიერო აქ არაფერიაო...

აი, ამას ჰქვიან გადაგვარება, გადაგვარება არა მარტო ენით, არამედ—სულით, გრძნობა-შემეცნებითაც.

რასაკვირველია, ასეთი მაგალითები არ ნიშნავს კიდევ მთელი ხალხის გადაგვარებას და ჩვენ აღვნიშნავთ და ყურადღებას ვაქცევთ ამგვარ ფაქტებს არა იმიტომ, რომ ვითომ ეს მიგვაჩნდეს მთელი ერის გადაგვარების მომასწავებლად. თუ ათი და ოცი სასწავლებლებში გამოზრდილი ქალ-ვაჟი ივიწყებს დედა-ენას, სამაგიეროდ სხვა ასი და ათასი იბადება, რომელნიც ქართულ წრეში იზრდებიან და პატარაობაში ქართულ ენაზე ვითარდებიან.

ეს ფაქტები სულ სხვა მხრივაა საყურადღებო და დამაფიქრებელი. ჩვენი საზოგადოება ჰხარობს და სიამოვნებს ქართველ მოსწავლეთა გამრავლებით იმიტომ, რომ იმედოვნებს, ამით მას რაიმე ახალი კულტურული ძალა და დოვლათი შეემატება. ნამდვილად კი ჩვენ ვხედავთ, რომ დიდძალი ნაწილი თანამედროვე სკოლებში „განათლებულ“ ქართველებისა გადაგვარების გზაზე დგება და ჩვენს საზოგადოებას სამუდამოდ ეკარგება. და აბა წარმოიდგინეთ, როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი ხალხოსნობა, თუ ის ნაწილი, რომელიც შედარებით ხალხის უფრო შეძლებულთა წრეს ეკუთვნის და სწავლას იღებს, თანდათან ხალხოსნურ ნიადაგსა და ინტერესს დაშორდება. მარტო ენა კი არ კმარა, რომ ხალხს ერის სახელი დაერქვას. ენა ბოტოკუდებსაც კი აქვთ, მაგრამ მათ არავინ სთვლის ერად და კულტურიან ხალხად. კულტურა ცოდნა განათლებაა, რომელმაც უნდა იხმაროს ენა იარაღად და ამ იარაღის საშუალებით გახდეს ხალხის საერთო ხვედრად. და აი, ამ კულტურულ განვითარებას და ამაღლებას ხელს უშლის და აბრკოლებს ინდიფერენტიზმი იმ მშობლებისა, რომელნიც თავიანთ შვილებს დედა-ენას არ ასწავლიან და ამ გვარად ქართველ ერს უკარგვენ ძალას და უმცირებენ წარმატების საშუალებას.

რა უშველის ამ სენს? არაფერი, გარდა ჩვენში შეგნებისა და თვით-ცნობიერების გაძლიერებისა. მთავრობა უუბნება ქართველ მშობლებს: თუ გინდათ, სწავლის ფული გადიხადეთ და თქვენს შვილებს სკოლაში ქართული ან-ბანი ასწავლეთო. ქართველი ამაზედ ხშირად უარს ამბობს და ხარჯს თავიდან იცილებს. ცხადია, მასში არ არის დედა-ენის პატივი და მოთხოვნილება იმდენად ძლიერი, რომ მას ამისთვის საჭირო მსხვერპლის გაღება აკისრებინოს. ადამიანი მხოლოდ მაშინ თანხმდება ძალ ღონის დახარჯვას და შრომის გაწევას, როცა იმ საგნის მოთხოვნილება, რომლის მოსაპოებლადაც საჭიროა შრომის გაწევა, უფრო ძლიერია, ვიდრე შრომა-წვალებისაგან გამოწვეული უსიამოვნება. თუ ქართველი ხშირად უარს ამბობს ფულის გადახდაზე და გიმნაზიაში თავის შვილს დედა-ენას არ ასწავლის, ამის მთავარი მიზეზია მისი ეროვნული გამოურკვევლობა და განუვითარებლობა.

დიდი სიფხიზლე და მეცადინეობა გვმართებს ყველას, რომ მალე ბოლო მოეღოს ამ მავნებელ შეუგნებლობას... **ფ. გოგიჩაიშვილი.**

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
19 ნოემბერი

ტოკიო, 16 ნოემბერი („რეიტერი“. დეპეშა იაპონიის მთავარ-სადგომიდან მანჯურიაში: „12 ნოემბერს რუსის ქვეითა ჯარის კომანდამ იერიში მიიტანა მანჩუანცძუშანზე, მაგრამ იაპონელების სადარაჯო რაზმმა უკუ-აქცია. 15 ნოემბერს რუსის ქვეითა ჯარი და კავალერია წავიდნენ სიანაცძუს სიმაღლეების წინააღმდეგ, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ. ნაშუადღევის შემდეგ რუსის კავალერიამ და არტილერიამ იერიში მიიტანეს ფუსიალუცძუზე, მაგრამ სროლით უკუ-აქციეს“.

ვაშინგტონი, 18 ნოემბერი. სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, რადგან სასურველია, რომ რუსეთმაც მიიღოს მონაწილეობა სამშვიდობო კონფერენციაში და რადგან ბევრი სახელმწიფო არ გამოგზავნიდა წარმომადგენელს, თუ რუსეთს თავისი არ ეყოლებოდა, რუსეთის წინადადება შესახებ კონფერენციის გადადებისა ომის ბოლომდე აუცილებლად დააგვიანებს მოლაპარაკებას ამ საგნის შესახებ.

ლონდონი, 19 ნოემბერი („რეიტერი“). ტოკიოს გაზეთი იტყობინება, რომ 203 მეტრის სიმაღლე გორის მიტოვების დროს რუსებმა დასტოვეს რამდენიმე ტყვიის მტყორცნელი და 15 სანტიმეტრიანი ზარბაზანი. იერიშის დროს იაპონელებს დასჭირდათ ჯავშნით გამაგრებულ პოზიციების აღება გორის ფერდობის შუა ადგილის.

ტიანძინი, (რეიტ. სააგ.). რკინის გზის პოლიციამ ეჭვი შეიტანა სინმინტინიდან მოსულ საქონელზე და დაიჭირა ჩინგბანტოის ახლოს ხუთი ჩინელი. ცერცვიან ტომრებში ნახეს 549 სასროლი მასალა ტყვიის მტყორცნელისა. ჩინელები ტიანძინში მოიყვანეს და აქ გამოტყდნენ, რომ რუსების მინდობილებით ჯონკებზე მიჰქონდათ სასროლი მასალა ჩინგვინტაოდან პორტ-არტურში.

ჩიფუ, (რეიტ. სააგ.). 203 მეტრიან გორის აღების დროს იაპონიის პირველმა დივიზიამ დიდად იზარალა. ამავე დროს მეცხრემ და მეთერთმეტე დივიზიამ იერიში მიიტანეს ერლუნგშანზე და კაკუანშანზე. უკანასკნელ 25 საათის განმავლობაში იაპონელებმა დაჰკარგეს 15 ათასი კაცი. ჰფიქრობენ, რომ იერიში გაგრძელდება 27 ნოემბრამდე, როცა იაპონელებს იმედი აქვთ პორტ-არტურის აღებისა.

მუკდენი, 18 ნოემბერი (სპ. კორესპ.). ნერჩინსკის ოთხი სოტნი და მოხალისეთა კომანდა დაედევნა გაქცეულ იაპონელებს, შემდეგ დაიჭირეს სუიდუნი, მოსპეს ტელეგრაფი ტაიძხეს ველზე და შვიდი ტყვე მოიყვანეს. იაპონელები ცუდ გუნებაზე არიან. დალნიში დახვრიტეს ხუთი ჯარის კაცი, რადგან ავადმყოფობა მოიგონეს და ბრძოლაზე უარს ამბობდნენ. როგორც სჩანს, სინცძიტინზე გალაშქრებას აპირებენ.

უფა. აქ გაირა მანჯურიის მესამე არმიის უფროსმა. საზოგადოება მიესალმა გენერალს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
19 ნოემბერი.

ბერლინი, 18 ნოემბერს. იაპონელთაგან 203 მეტრის სიმაღლე გორის დაჭერის შესახებ, რომელიც ერლუნშანის სიმაგრესთანა ძევს, „კროიცცეიტუნგ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს, იაპონიის ჯარის მთავარ სადგომის მოხსენებიდანა სჩანს, რომ თითონ სიმაგრე ჯერ არ აუღიათო. ამიტომ გადაწყვეტით არ შეიძლება იმის თქმა რომ იაპონელებმა გაიმარჯვესო. მართალია და სახელებული მთა ყველა სიმაგრეებს დაჰყურებს და იმის დაპყრობა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება გამარჯვებისკენ, მაგრამ იმას მაინც არ მოასწავებს, რომ ეს იყოს დასასრულის დასაწყისიო.

ჩანხიამუტუნი, 18 ნოემბერი. დღეს მთავარ სადგომში შეიკრიბა წმ. გიორგის ჯვრის საბჭო. თავმჯდომარეობდა გენერალი ლინევიჩი, წევრებად იყვნენ გენერლები — სობოლევი, ზასულევიჩი, გერნგროსი, მიშჩენკო, გრეკოვი და პუტილოვი. საბჭომ განიხილა უკანასკნელ ბრძოლის მონაწილეთა თვალსაჩინო ღვაწლი და დაადგინა, მიეცეს წმ. გიორგის ჯვრები მეოთხე ხარისხისა გენერლებს ბარონ შტაკელბერგს, ზასულევიჩს, ივანოვს, ალექსეევს, კაშტალინსკის, დანილოვს, ლოიმინგსა და ერას ხანალიევს, კაპიტანს ვოლკოვსა და შტაბ-როტმისტრს ვიტორსკის.

ჩანხიამუტუნი, 18 ნოემბერი. როგორც სჩანს, იაპონელებს განზრახვა აქვთ შეამფოთონ ჩვენი მარცხენა ფრთა. იმათ ხელ ახლა გაჰგზავნეს ქვეითა რაზმი დანდოლდუშანის წინააღმდეგ. იქ მყოფი ჩვენი სოტნა მეორე პოზიციისაკენ წავიდა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
18 ნოემბერი

კოკანდი, 13 ნოემბერი. ტაშკენტსა და იმის მიდამოებში 13 კაცი გახდა ხოლერით ავად.

ბალტა, 18 ნოემბერი. საგუბერნიოს ერობამ შეიწყნარა ბენდერის ერობის შუამდგომლობა, რომ სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახებისთვის 140 ათასი მანეთი გადადოს.

კრონშტადტი, 18 ნოემბერი. გემების მომზადება შესწყდა.

ბერლინი, 18 ნოემბერი. სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, რომ გერმანიის მემკვიდრე პრინცის ქორწინება მისზე ადრე არ მოხდებაო.

ბაქო, 17 ნოემბერი. სპარსეთის საგანგებო ელჩმა პრინცმა მირზა-რიზა-ხანმა პეტერბურგისაკენ გაიარა. ელჩს სპარსეთის შაჰის საკუთარის ხელით ხელმოწერილი მემკვიდრის დაბადების გამო დაწერილი მისალოცი წერილი მიაქვს ხელმწიფე-იმპერატორთან.

პეტერბურგი. მაგნე მიმართულების გაზეთ „სინ ოტეჩესტვა“-ს შინაგან საქმეთა მინისტრისაგან გამოეცხადა პირველი გაფრთხილება და აეკრძალა ცალკე ნომრების გაყიდვა.

სტოკჰოლმი, 18 ნოემბერი. ბრიუსელში ხელი მოაწერეს სამედიატორო სამართლის კონვენციას ბელგიასა, შვეციასა და ნორვეგიას შორის.

კონსტანტინეპოლი, 18 ნოემბერი, სულთანის ბრძანებით, დარდანელში დააკავეს მარსელის კომპანიის გემი, რომელზედაც ასაფეთქებელი მასალა იყო. კაპიტანმა განაცხადა, რომ ეს მასალა ბათუმისათვის არის დანიშნულიო. რადგან ასაფეთქებელი მასალის გატარება დარდანელზე აკრძალულია, ამიტომ გემს დააკავებენ, სანამ იმიდან ასაფეთქებელ მასალას არ ჩამოიღებენ.

ყაზანი, 18 ნოემბერი სასწაულთ-მოქმედ ხატის ქურდობის გამო 25 ნოემბერს ოლქის სასამართლოში ბრალდებულის სკამზე იქმნებიან გლეხები — სტოიანი, იგივე ჩაიკინი, კომოვი, მოქალაქე სახაროვი, მონასტრის დარაჯი კაზანსკი, ოქრომჭედელი ჟესმოვი, ჩაიკინის საყვარელი კუზნეცოვა და კუზნეცოვის დედა შილინგი.

სოფია. ოფიციალურად დამტკიცდა ის ხმა, რომ ბერძნების რაზმმა მოჰკლა სოფელ ზელენიჩში 14 ბოლგარი და დასჭრა ხუთი. რაზმს განზრახვა ჰქონდა მოეკლა მღვდელი. რუსეთისა და ავსტრიის კონსულები წავიდნენ ზელენიჩში გამოსაძიებლად. საერო კრებამ მიიღო სამხედრო სამინისტროს მიერ მოთხოვნილი კრედიტი 42,700.000 ფრანკისა ჯარის შესაიარაღებლად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაზე	45,87½
პარიზისაზე 100 ფრანკზე.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,40
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,52½
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	92⅛
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89⅜
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	428
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	322½
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	272½
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	87¼
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	246

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ
„ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქჩა, ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს მგგ:. ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტ-ოვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ-შემოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ვეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის
„შხტას“

გამგეობა აუწყებს ბ-ნ პაის პატრონთ, რომ დანიშნა 7%-იანი შესატანი, ე. ი. 7 მანეთი თითო პაიზე 1-დან 7 დეკემბრამდე და 8-დან 17 დეკემბრამდე ჯარიმიანად; ამის შემდეგ პაი, რომლის შესატანიც გასტუმრებული არ იქნება, ამხანაგობის ხელშეკრულობის ძალით, გაუქმებლად იქნება ჩათვლილი.

შესატანი მიიღება ამხ.—ბის კანტორაში, ლერმონტოვისა და ველიამინოვის ქუჩების კუთხეში, ხანჯალამოვის სახლში. (შესავალი ლერმონტოვის ქუჩიდან), დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე.

ფულის შეტანის დროს პაის პატრონებმა უნდა წარადგინონ საპაიო კვიტანციები.

(2—334—1)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მეურველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო-დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.



ევალდ იანკოვსკის

კაფელის ფეჩები, ღუმელები.

სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის ფასები 25 მანეთიდან

გამართვა აგურის ფეჩებისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.
(30—30) ტელეფონი № 282.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნება

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში

СѢДЕЛЬН,
СПЕЦІАЛЬН
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (9.—176—80

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზაზასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
ითვლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	2
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაცვენება, პრიოვეს. გ შეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილით, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	2
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	2
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	2
ხუთი რაფიელისა, თარგ. სომხურიდან ბ. ეგანგულოვისა	1	—

პ. ი. ავსარქისოვის
სანერგე ყიდის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და კავკასიის ჯიშის ხეხილს. ადრესი ხად. ხჭრა (ამიერ კავ. რკინ. გზა). ავსარქისოვს. დაწვრილებითი კატალოგები და პრეისკურანტები რუსულად და ქართულად უფასოთ ეგზავნებათ. (10—301—11

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის
თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.
წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა დირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი
ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.
(0—8.24)
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679.
(0—186)

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1905 г.
на большую ежедневную съ полной программой, выходящую въ Баку, газету
„БАКИНСКІЯ ИЗВѢСТІЯ“
(ЧЕТВЕРТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ).
въ газетѣ обѣщали участіе.

Ф. А-фъ, Н. П. Ашешовъ, Е. З. Барановъ, П. А. Берлинъ, В. Богучарскій (В. Я. Яковлевъ). Mr. Broun, Л. К. Бухъ, Х. С. Варданянъ, П. А. Васильевъ, Д. Ведребиссели (Ц. К. Маліева), Ю. А. Веселовскій, В. С. Вейнылъ, К. Вяиновъ, Вѣди-Азъ, Горичъ, М. М. Гутамовъ, В. А. Евангулова, Б. И. Ивинскій, (Б Борскій), А. С. Изгоевъ, М. В. Кечеджи-Шаповаловъ. Н. П. Козеренко, А. Н. Котельниковъ, М. Меликъ-Шахназаровъ, Мечтатель (Θ. Θ. Трозинеръ), А. И. Новиковъ, Н. А. Падаринъ, А. Б. Петрищевъ, Конст. М. Пономаревъ, Н. С. Семеновъ, С. С. Семеновъ, Орестъ Семинъ, А. С. Скляръ, М. А. Славинскій, М. Ф. Славинская, д-ръ Л. Соколовскій, Ю. Стекловъ, В. Θ. Тотоміанцъ, А. Ю. Финнъ, Б. І. Харитонъ, Г. И. Шрейдеръ И. И. Шрейдеръ, Эненъ, Эхо и друг.

Газета имѣетъ собственныхъ корреспондентовъ въ крупныхъ городахъ Кавказскаго края, а также въ С.-Петербургѣ, Москвѣ и заграницей.

Подписная цѣна:

	Для городскихъ подписчиковъ	Для Черн. гор., Бамлова, Балахан. и иногород. подписчиковъ
На годъ	7 р.—к.	8 р. 50 к.
На 6 мѣсяцевъ	4 „ —„	5 „ — „
На 3 мѣсяца	2 „ 50„	3 „ — „
На 1 мѣсяцъ	1 „ —„	1 „ 50 „

Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка.

	Для городск.	Для иногород.
При подпискѣ	3 р.	3 р. 50 к
Къ 1 апрѣля	2 „	3 „ — „
Къ 1 іюля	2 „	2 „ — „

Годовые подписчики на 1905 г., внесшіе при подпискѣ полностью всю подписную сумму, получаютъ въ 1904 г., газету, со дня подписки Безплатно.

Редакторъ-издатель Н. А. Гриневъ.
(3—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1905 ГОДЪ
НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ
ВОКРУГЪ СВѢТА
ВЪ ТЕЧЕНІЕ ГОДА ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:
50 №№ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНАГО ЖУРНАЛА.
Путешествія.—Этнографія.—Романы и повѣсти, изображающіе разные приключенія на сушѣ и на морѣ.—Очерки и разсказы.—Стихотворенія.—Спортъ.—Картины.—Иллюстраціи.—Портреты. 1.200 столбцовъ текста.
12 №№ ЕЖЕМѢСЯЧНАГО МОДНАГО ЖУРНАЛА съ выкройками, но общедоступными дамскими и дѣтскими нарядами.
12 образцовъ ИЗЯЩНЫХЪ ДАМСКИХЪ РАБОТЪ по лучшимъ русскимъ и иностраннымъ образцамъ.
ВЪ КАЧЕСТВѢ ПРЕМІЙ ПОДПИСЧИКАМЪ „ВОКРУГЪ СВѢТА“ БУДЕТЪ ДАНО
БЕЗПЛАТНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ
ДВА ЧРЕЗВЫЧАЙНО ЦѢННЫХЪ И БОГАТЫХЪ ИЗДАНІЯ.
1 ТОМЪ въ 375 стр. „МЫСЛИ МУДРЫХЪ ЛЮДЕЙ“:
Эпиктета, Діогена, Марка Аврелія, Сократа, Конфуція, Будды, Лао-Тсе, Аристотеля, Платона, св. Августина, Паскаля, Руссо, Спинозы, Канта, Шопенгауэра, Достоевскаго, Рёскина и мн. др. на каждый день собранныя знаменитымъ писателемъ
Львомъ Николаевичемъ ТОЛСТЫМЪ.
24 ТОМА ИСТОРИЧЕСКИХЪ РОМАНОВЪ (въ 150—200 печатныхъ листовъ)
Александра ДЮМА (отца),
куда войдутъ шесть произведеній знаменитаго романиста: Графъ Монте-Кристо.—Виконтъ де-Бражелонъ.—Двѣ Діаны.—Королева Марго.—Графиня де-Монсоро.—Сорокъ пять. Подписчики „Вокругъ Свѣта“ получатъ ихъ въ полномъ видѣ, безъ какихъ либо сокращеній. Въ отдѣльной продажѣ романы Дюма стоятъ 15 руб.
Выданные ранѣе въ премію „Вокругъ Свѣта“ и вышедшіе затѣмъ отдѣльнымъ изданіемъ при цѣнѣ въ 3 р. романы Три мушкетера и Двадцать лѣтъ спустя высылаются годовымъ подписчикамъ нашего журнала за 1 р.
Кромѣ того, съ приплатою одного рубля, подписчики «Вокругъ Свѣта» получатъ
НЕБЫВАЛУЮ ПРЕМІЮ:
богатую художественную галлерею стѣнныхъ картинъ —
Война и ея герои,
12 ОЛЕОГРАФІЙ, т.-е. художественно исполненныхъ во множествѣ красокъ картинъ и портретовъ (размѣромъ каждая въ 40×52 сант.), посвященныхъ наиболѣе величественнымъ и потрясающимъ событіямъ войны Россіи съ Японіей и воспроизводящихъ съ мельчайшими подробностями выдающіеся моменты кровавой грозы на Дальнемъ Востокѣ. КАРТИНЫ: Наша армія и флотъ.—На сушѣ и на морѣ.—Выдающіеся бои, стычки, схватки, штурмы и т. д.—Мирная работа подъ грохотъ пушекъ.—Коварный врагъ.—Взрывы и гибель судовъ.—Доблестн. подвиги русск. оружія.—Защитники величія Россіи: Куропаткинъ, Стессель и др. воены.
ЦѢНА НА ГОДЪ безъ картинъ Война и ея герои 4 Р. съ перес. и доставк.
ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА: при подпискѣ 2 р., къ 1 апрѣля 2 р., къ 1 іюля 1 р.
Адресъ: Москва, Петровка, д. Матвѣевой. Редакція журнала „Вокругъ Свѣта“.
Изданіе Т-ва И. Д. СЫТИНА.
ЦѢНА НА ГОДЪ съ 12 картинами въ краскахъ Война и ея герои 5 Р. съ перес. и доставк.
(3—2)

Дозволено цензурою, 19 ноября 1904 г.
სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—სა“.
Электроп. „Груз. Изд. Т—ва“.